ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 27 აპრილი, 2018 №98 (7643) ფასი: 50 თეთრი


„ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ეკონომიკაში უკეთესად უნდა ერკვეოდეს“

გვ.6



დემურ გიორხელიძე: „წლიურ 60%-იან სესხს ვერავინ გადაიხდის“


19 აპრილიდან
120 ამბავი
ალექსანდრე მაკედონელი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


# ვის გაუშვებს ბიძინა ივანიშვილი პოლიტსაბჭოდან

გვ.2



„ქართული ოცნება“ დიდი წმენდის მოლოდინში

## „გიგა ბოკერია და იგორ გიორგაძე ერთად მოქმედებენ“



გვ.4



ემზარ კვიციანი: „მოღალატეებმა ბრძოლა გამომიცხადეს“



## ირაკლი სესიაშვილი: „ივანიშვილის პრეზიდენტობაზე მსჯელობა არ გვქონია“



გვ.3

„პრემიერ კვირიკაშვილის შეცვლას არ უნდა ველოდოთ“

## რატომ შეიცვალა კიდევ ერთხელ პრემიერი ოკუპირებულ აფხაზეთში?



გვ.5

### სამართალი

გვ.7

მუსიკოს კრის რის სახელის გამოყენებით დიდი ოდენობით ფულის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს




ზაზა სარალიძე: „ექსპერტიზით ვერ დგინდება, საქმეში არსებული დანებიდან არის თუ არა ჩემი შვილისთვის მიყენებული მომაკვდინებელი ჭრილობაა“




### ეკონომიკა

გვ.6



ქიაბერაშვილი: „მცირე ბიზნესისთვის დღგ-ის ბრუნვის ზღვარი 200,000 ლარამდე უნდა გაიზარდოს“

„არაქართველი გიდები ტურისტებს საქართველოს ისტორიას დამახინჯებულად უყვებიან“





დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კონსტანტინე სულამანიძე, თანამდებობას ტოვებს

ISSN 1987-9385

5 „ვითხოვთ ირაკლი ღოღვაძის გათავისუფლებას“

4 ბიზნესმენები: „ივანიშვილის დაბრუნება სტაბილურობის განცდას ქმნის“

3 იაშვილის კლინიკაში ჰიპოკრატეს ფიცი მას შემდეგ დაივიწყეს, რაც იქ BGEO ჯგუფი შევიდა

4 ბოლო ერთ თვეში ბიძინა ივანიშვილი 50 მლნ დოლარით გამდიდრდა

# ვის გაუშვებს ბიძინა ივანიშვილი პოლიტსაბჭოდან

## „ქართული ოცნება“ დიდი წმენდის მოლოდინში

შორენა მარსაგიშვილი

ქართულ პოლიტიკაში საინტერესო ერა დადგა – მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების მოლოდინში გატრუნულ ერს ბიძინა ივანიშვილი დაუბრუნდა, ჯერ მხოლოდ პარტიის თავმჯდომარის რანგში, მაგრამ მეოცნებეებს უფრო მეტის იმედი აქვთ.

სხვაგვარი განწყობაა პარტიის ბოსებში. პარტიის ლიდერები ჯერ კიდევ 25 აპრილს იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გაემყარებინათ პოზიციები. 26 აპრილს მათ ივანიშვილი გამოეცხადათ.

მისმა გამოჩენამ გახლეჩის პირას მისულ პარტიაში სასწაული მოახდინა. გედი ფოფხაძე, რომელიც პარტიიდან თითქმის წასული იყო, უკან დაბრუნდა.

– ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა და მე რატომ უნდა წავიდე პარტიიდან?! – განუცხადა ბედნიერმა დეპუტატმა ჟურნალისტებს.

### მეორედ მოსვლა

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ოფიციალურად 2013 წლის 20 ნოემბერს წავიდა. ამ დღეს დატოვა მან პრემიერის პოსტი, ამბობდა, რომ პოლიტიკაში იმ შემთხვევაში დაბრუნდებოდა, თუ ეს ქვეყანას დასჭირდებოდა.

პოლიტიკაში დაბრუნებაზე მას ბევრჯერ მოუხდა საუბარი და ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ამის საჭიროება არ იყო, რადგან მთავრობა კარგად მართავდა ქვეყანას.

– საბედნიეროდ, არ არის ისეთი სიტუაცია, რომ ჩემი პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობა ჩანდეს. ადრეც მითქვამს და დღესაც შემიძლია განვაცხადო, რომ პოლიტიკაში დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც საოცრება მოხდება. თუ დღევანდელი მთავრობა ხალხს აღარ მოუსმენს, მოხდება მსგავსი უზურპაცია ხელისუფლებისა, რაც სააკაშვილის დროს მოხდა. – აღნიშნა ერთ-ერთ ინტერვიუში ივანიშვილმა.

სხვა ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი დაბრუნება სწორი არ იქნებოდა და ეს დაბრუნება მეორედ მოსვლას შეადარა.

– ჩემი პოლიტიკაში დაბრუნება არ იქნება სწორი, თუ ამის აუცილებლობა არ დადგა და, ღმერთმა ნუ ქნას, დადგეს. მეორედ მოსვლას ვადარებ ჩემს მოსვლას. რაღაც უბედურება უნდა მოხდეს ამისთვის, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

მართალია, წავედიო, ამტკიცებდა, მაგრამ ამაში ვერავინ დააჯერა ან ვინ დაიჯერებდა, როცა ყველა გადაწყვეტილებას მაინც ის იღებდა. არაფორმალური მმართველის სტატუსის შენარჩუნებას ის ამ დაბრუნების შემდეგაც შეძლებს, თუ ბოლომდე პარტიის თავმჯდომარედ დარჩა და ოფიციალური თანამდებობის დაკავება არ მოუხდა.

რიგითი მეოცნებეები მისი მეორედ მოსვლის გამო მართლა ხარობდნენ, პოლიტსაბჭოს წევრებს კი მხიარული სახეები სულაც არ ჰქონდათ. ივანიშვილის დაბრუნებით დროებით მაინც შეწყდება კახა კალაძისა და გიორგი კვირიკაშვილის დაპირისპირება. ისინი უკვე დიდი ხანია, იმის დამტკიცებას ცდილობენ, თუ ვინ არის მათ გუნდში მთავარი. ახლა ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

ერს ყოფილი პრემიერის დაბრუნების შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა ამცნო. პარტიის პოლიტსაბჭოს დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პრემიერმა განაცხადა, რომ არის გამოწვევები და პარტია გაძლიერებას საჭიროებს:

– მინდა, გაგაცნოთ ის მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც იგეგმება „ქართულ ოცნებაში“. სრულიად ბუნებრივია ინტერესი მმართველ გუნდში მიმდინარე პროცესების მიმართ და ხალხს სჭირდება სიცხადე. ჩვენ, როგორც ხელისუფლებაში მყოფი მმართველი ძალა, ვგრძნობთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე და მივიჩნევთ, რომ სახელმწიფოს განვითარებისა და ახალი გამოწვევების ფონზე დადგა აუცილებლობა, მაქსიმალურად გავაძლიეროთ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და სიმტკიცე შევძინოთ ჩვენს გუნდს.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პარტიის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, ამავე დროს, ჩვენ გვაერთიანებს მკვეთრად გამოხატული ღირებულებები, ერთიანი ხედვები როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, როგორც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, შევინარჩუნოთ ერთიანობა ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ პარტიას ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს. ის ამბობს, რომ ყოფილ პრემიერს თავად შესთავაზა პარტიის თავმჯდომარეობა, რაზეც თანხმობა მიიღო.

„ოცნების“ დამფუძნებლის მეორედ მოსვლას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა დეპუტატი დავით ჭიჭინაძე. ეს უკანასკნელი ყველაზე რადიკალური განცხადებებით გამოირჩეოდა და პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენებითაც იმუქრებოდა. როგორც ამბობენ, მან ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყო.

ის ღიად ამბობდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში პრემიერის იგნორირებას ცდილობდნენ. კვირიკაშვილი პარტიის თავმჯდომარის პოსტსაც ითავსებდა. ახლა ამ თანამდებობაზე ივანიშვილი იქნება. ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ ამიერიდან პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებების რევიზიას ველარავინ გაბედავს.

მისივე თქმით, მმართველ პარტიაში ყველაფერი უკეთესობისკენ წავა.

– ყველაზე მთავარი სახე დაბრუნდა „ქართულ ოცნებაში“ პირველ სახედ და ეს არის მისასალმებელი. „ქართულმა ოცნებამ“ დაიბრუნა თავისი ბუნებრივი სახე. უფრო მეტ პასუხისმგებლობასაც დააკისრებს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ერთობლივად ავიღებთ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. როცა იღებ, მეტი „რიჩაგიც“ გიჩნდება ამ ქვეყანაში და მეტი პასუხისმგებლობაც, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატმა.

მეორედ მოსვლით კმაყოფილი ჩანს პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძეც. თბილისის მერს თუ დავუჯერებთ, „ოცნება“ ყოფილ პრემიერს დიდი ხანია, რაც დაბრუნებას სთხოვდა.

– პრემიერ-მინისტრს არაერთხელ ჰქონდა საუბარი და შეთავაზება მის პარტიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. მიღებული გადაწყვეტილება არის ძალიან კარგი – წაადგება ქვეყნის განვითარებას, ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობას, გაძლიერდება პარტიის როლი და ასე შემდეგ. რაც შეეხება პარტიის მოქმედ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილს, ის არის პრემიერ-მინისტრი და გააგრძელებს თავის საქმიანობას, – განაცხადა კალაძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი „ქართულ ოცნებაში“ რეფორმების ახალ ტალღას უხელმძღვანელებს.

– ის ბრუნდება პოლიტიკაში. შესაბამისი ფორმალური პროცედურების გავლის შემდეგ ის დაიკავებს პარტიის თავმჯდომარის თანამდებობას. ჩვენ ხშირად ვამბობდით, რომ საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს ჩვენი პარტია და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, როგორც ევროპული ტიპის პოლიტიკური გაერთიანება. ამას სჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა, რესურსი და ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პარტიას სათავეში ჩაუდგება ბიძინა ივანიშვილი. ის სათავეში ჩაუდგება რეფორმების ახალ ტალღას ჩვენს პარტიაში, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სპიკერის მტკიცებით, ივანიშვილის დაბრუნებას საკადრო ცვლილებები არ მოჰყვება.

– ყველაფერი რჩება ისე, როგორც არის – პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და ა.შ. საუბარია იმაზე, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი სათავეში ჩაუდგება პარტიას და ის პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთვება, როგორც პარტიის თავმჯდომარე, ამ თანამდებობისთვის დამახასიათებელი ფუნქციების შესაბამისად, – აღნიშნა კობახიძემ.

### ბრძოლის ახალი ეტაპი

მეოცნებეებისგან განსხვავებით, ივანიშვილის მობრუნებას სულ სხვანაირად აღიქვამს ოპოზიცია. ერთ-ერთი ვერსიით, ის სომხეთში მიმდინარე ამბების გამო დაბრუნდა, მეორე ვერსიით, პარტია ემხობა თავზე, მესამე მიზეზად კი მიხეილ სააკაშვილს ასახელებენ, რომელიც ლამის ყოველ საღამოს აანონსებს საქართველოში დაბრუნებას.

ქართულ პოლიტიკაში მას დაბრუნება ყოფილმა პრემიერმა დაასწრო. სააკაშვილის მტკიცებით, ივანიშვილი შეშინებულია სომხეთში მიმდინარე საპროტესტო აქციებით, რომლის შედეგად თანამდებობა დატოვა სერჟ სარგსიანმა.

– ივანიშვილი ბორგავს, მის წინააღმდეგ საფრანგეთში სისხლის სამართლის საქმის აღძვრითა და მეზობელ სომხეთში ოლიგარქიის დამხობით შეშინებული, იძულებული ხდება, გამოვიდეს ხეების ჩრდილის კომფორტიდან და პირადი დაცვა ისევ ღია პოლიტიკაში ეძებოს. იმას კი ვერ ხვდება, რომ ის ველარ იქნება პოლიტიკის განმკარგავი.

საქართველოში ხელისუფლებას წელსვე და-



იბრუნებს ქართველი ხალხი, რომელსაც ივანიშვილი უმოწყალოდ ძარცვავს თავისი ბანკების მეშვეობით. ჩვენ წელს დავასრულებთ ერთდროულად ივანიშვილის მმართველობასა და ხალხის გაჭირვებას, – დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ივანიშვილის დაბრუნებით აღფრთოვანებულია. ნათელაშვილი ამბობს, რომ მასთან ახალი ბრძოლის ეტაპი იწყება. ის ივანიშვილს დებატებში იწვევს.

– საბანკო ოლიგარქიულმა რეჟიმმა გახსნა თავისი უკანასკნელი სამაშველო რგოლი, მთავარი მტაცებელი გამოდის სააშკარაოზე. მე ვიწვევ ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ ტელედებატებში, რათა მან გასცეს პასუხი კითხვაზე – რატომ გადააქცია საქართველო საკუთარ ბიზნესკორპორაციად? რატომ დაუმსხვრია ხალხს ყველანაირი ოცნება, რატომ იშოვა მილიარდები ჩვენი მოსახლეობის უბედურების ხარჯზე, თავისი შვილების საბედნიეროდ და კიდევ რა ვერაგული გეგმები აქვს ჩაფიქრებული.

აი, ამის თაობაზე მე მას ვიწვევ პირდაპირ ტელედებატებში. არ არის დაფარული, რაც არ გაცხადდების, ძალიან კარგია, რომ ბუჩქებიდან აფთარი გამოძვრა. ახლა უკვე ჩვენი, ხალხის ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული, რამდენად დროზე იქნება ის გადაცემული ეროვნულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ მართლმსაჯულებას. ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა ნიშნავს, რომ რეჟიმს გადარჩენის შანსი აღარ დარჩა. ჩვენ ის გამოვაგდეთ ბუნაგიდან და ახლა წინ გველოდება ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელიც გამარჯვებით უნდა დავამთავროთ, – აღნიშნა ნათელაშვილმა.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, დავით ბერძენიშვილს, მეორედ მოსვლამ ბრეჟნევი და უძრაობის ხანა გაახსენა. მისი აზრით, მმართველი პარტია ძალიან ცუდად დაამთავრებს.

– როცა პარტიის დამფუძნებელი წლების შემდეგ ბრუნდება პარტიის ხელმძღვანელად ბრეჟნევივით, ბრეჟნევსაც არ ეკავა მთავრობის ხელმძღვანელის პოსტი და არც პრემიერი იყო, არც პრეზიდენტი. ის იყო ერთადერთი და განუმეორებელი საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და ბიძინაც იქნება საბჭოთა კავშირის მაგვარი საქართველოს კომპარტიის, ანუ დღევანდელი „ქართული ოცნების“ პარტიის ხელმძღვანელი. ის ცუდად დაამთავრებს, – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას, მტკიცებით, ოფიციალურად დადასტურდა, რომ ქვეყანა ღრმა კრიზისშია.

– „ქართული ოცნების“ რეალური მმართველის ჩრდილიდან გამოსვლა ადასტურებს იმას, რაც ისედაც კარგად იცის მთელმა ქვეყანამ, რომ ღრმა კრიზისია „ქართულ ოცნებაში“, ღრმა კრიზისია მთელ ქვეყანაში.

კვირიკაშვილის გადადგომა თავმჯდომარის პოსტიდან და ბიძინა ივანიშვილით ჩანაცვლება ქვეყანას ვერ უშველის. ქვეყანას უშველის მარტო ერთი რამე – ივანიშვილით დაწყებული, კვირიკაშვილით დამთავრებული და მთელი ამ გუნდით დასრულებული, მათი ჩამოცილება ხელისუფლებიდან არჩევნების გზით, მშვიდობიანად და მერე მუშაობა ქვეყნის წინსვლისთვის. მეტი არაფერი უშველის ჩვენს ქვეყანას, რომელიც ჩიხში შეიყვანა ივანიშვილმა თავისი გუნდითა და თავისი მმართველობით, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ოცნებაში“ კრიზისის წარმოქმნა ბოკერიას სახელს უკავშირდება. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე კვირის წინ ივანიშვილი გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას შეხვდა.

„დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია ამბობს, რომ ივანიშვილის დაბრუნება სხვა არაფერია, თუ არა „ოცნების“ აღიარებითი ჩვენება.

– ივანიშვილის „დაბრუნება“ პოლიტიკაში – ეს არის „ქართული ოცნების“ აღიარებითი ჩვენება ყველა იმ ბრალდებაზე, რომლებსაც ამ წლების განმავლობაში უყენებდა ქართველი საზოგადოება მმართველ ძალას.

როგორც თავად ივანიშვილმა პოლიტიკიდან „წასვლის“ დროს ბრძანა, მისი შესაძლო დაბრუნება პოლიტიკაში მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ოცნება მოახდენდა ხელისუფლების უზურპაციას, ხელისუფლება დაადგებოდა სააკაშვილის ხელისუფლების გზას. მანვე პოლიტიკაში მისი შესაძლო დაბრუნება შეადარა მეორედ მოსვლას!

რაც არ უნდა თავი იმართლოს „ქართულმა ოცნებამ“ და სხვადასხვა ინტერპრეტაციით მხოლოდ დადებით კონტექსტში განიხილოს და მიაწოდოს საზოგადოებას ივანიშვილის „დაბრუნება“ პოლიტიკაში, ფაქტი ფაქტად რჩება, „ქართული ოცნების“ რეიტინგის კატასტროფულმა ვარდნამ ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახადა, დაეკმაყოფილებინა „კვირიკაშვილის თხოვნა“ და დაბრუნებულიყო პოლიტიკაში, – ამბობს მიქაია.

ოპოზიციონერებიდან დიდი დაბრუნება დადებითად მხოლოდ დეპუტატმა ირმა ინაშვილმა შეაფასა. პარლამენტის ვიცესპიკერი ამბობს, რომ ამის შემდეგ დასავლეთი შეწყვეტს არაფორმალურ მმართველზე საუბარს, რაც საქართველოს აზიანებდა.

– მხოლოდ პოზიტიურად ვაფასებ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების ფაქტს. ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩემს არაერთ საჯარო გამოსვლაში იყო მოწოდება, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნებულიყო პოლიტიკის სივრცეში. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოსთან მიმართებით დასავლეთის მხრიდან არაფორმალურ მმართველობაზე საუბარი დამთავრდება, რაც აშკარად გვაზიანებდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის შიგნით ბიძინა ივანიშვილის სახელით სპეკულაციები დასრულდება. ეს ნიშნავს იმას, რომ „რაღაცა უბედურება“ ხდება, რომლის შესაჩერებლადაც ივანიშვილი საჯარო პოლიტიკაში შემოდის. ზუსტად ეს ტერმინი გამოიყენა, როცა მიდიოდა. რაღაცა უბედურება უნდა მოხდეს, რომ იძულებული გავხდე, პოლიტიკაში დავბრუნდეო. ეს ნიშნავს იმას, რომ შანსი ჩნდება, ქვეყანა გამოვიდეს პოლიტიკური ჩიხიდან და საერთო ძალებით დავიწყოთ საქართველოსთვის სასიკეთო და სასიცოცხლო საქმეების კეთება: ნაწილმა სახელისუფლებო პოზიციებიდან, ნაწილმა – ოპოზიციური ფლანგიდან, ნაწილმა საკუთარი პროფესიული სივრციდან და ნაწილმა – სახლიდანაც კი, – აღნიშნავს ვიცესპიკერი.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ივანიშვილის მობრუნებით აღფრთოვანებული არ არის, თუმცა ამ გადაწყვეტილებას მაინც დადებით მომენტად თვლის.

– ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, გაისიგრძეგანა რეალობა, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკური კრახის პირასაა და გადაწყვიტა, გადაედგა ბოლო ნაბიჯი, რაც მას შეეძლო გადაედგა, რასაც მეორედ მოსვლას უწოდებდა თავად და ამით იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე.

2012 წელს ქართველ ხალხს დაჰპირდა ნაციონალური მოძრაობის შეცდომების გამოსწორებასა და ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებას. ახლა პოლიტიკაში დაბრუნებით ის გვპირდება თავად „ქართული ოცნების“ შეცდომების გამოს-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი სესიაშვილი: „ივანიშვილის პრეზიდენტობაზე მსჯელობა არ გვქონია“

## „პრემიერ კვირიკაშვილის შეცვლას არ უნდა ველოდოთ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე საუბრობს.

***– ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის ამ ნაბიჯს, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება?***

– თავისთავად ცხადია, რომ ქვეყანაში ბატონ ბიძინა ივანიშვილს სამოქალაქო-პოლიტიკური პასუხისმგებლობა ძალიან დიდი აქვს. მინდა საზოგადოებამ სწორად დაინახოს სურათი: ეს არ არის რაღაც გაუგებრობით გამოწვეული, რომელსაც ბოლო დროს ჰქონდა ადგილი, ან იმით, რომ თითქოს ფორმალურ თუ არაფორმალურ მმართველობასთან გვქონდა საქმე.

***– აბა, რასთან გვაქვს საქმე?***

– საქმე გვაქვს პარტიულ ინტერესებთან. ჩვენი პარტია, „ქართული ოცნება“, არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობდა და მუდმივ რეჟიმში იყო ჩართული. არ იყო საკმარისი დრო და რესურსი, რომ პარტიული ორგანო სისტემურად განვითარებულიყო. დღეს არსებული მოცემულობა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ პარტია ჩამოყალიბდეს ევროპული ტიპის ძლიერ პარტიად, რომელსაც ექნება ძლიერი სტრუქტურები ყველა დონეზე, გადაწყვეტილებები მომზადდება ქვედა დონეზე. თავისთავად ეს გადაწყვეტილება პოზიტიურად აისახება ჩვენს ამომრჩეველსა და მხარდამჭერებზე.

***– ეს მხოლოდ პარტიის გაძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯია?***

– რა თქმა უნდა, პირველ რიგში ასეა. პრემიერ-მინისტრს თავისი საქმე აქვს, პარლამენტის თავმჯდომარეს – თავისი. შესაბამისად, პარტიის თავმჯდომარეობა სულ სხვა ტიპის გამოწვევაა, რომელსაც ის ლიდერი სჭირდება, რომელიც ამ გამოწვევებს გაუძლებს. ობიექტურები ვიყოთ.

***– გასაგებია, რომ ქვეყნის მართვის პარალელურად, პარტიის მართვა რთულია, მაგრამ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს მაინც ბოლო დროს პარტიაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება?***



– არა, არ უკავშირდება. მე არაერთხელ მითქვამს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა პარტიაში. ადამიანებს განსხვავებული აზრი აქვთ, რომელსაც ემოციურად გამოხატავენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მერწმუნეთ, ამ საკითხზე არც კი გვისაუბრია იმდენად, რამდენადაც ერთიანობის პრობლემა არასდროს დამდგარა. ალბათ უფრო ემოციური ფონია, რაც ჩვეულებრივად დალაგდება. დალაგებულიც არის, ერთმანეთის მიმართ თუ რამე არაკორექტული გამონათქვამები გვქონდა, არ გვაქვს იმის შეზღუდვა, რომ ერთმანეთთან მივიდეთ და თავისუფლად დაველაპარაკოთ. ეს საკითხი საერთოდ დღის წესრიგში არც დგას.

ბატონმა ბიძინამ შეხვედრაზე ახსენა კიდეც, რომ მას პარტიამ, ცალკეულმა ლიდერებმა ადრეც კი შესთავაზეს, პარტიის სათავეში ჩამდგარიყო, მაგრამ ყველას თავისი დღის წესრიგი აქვს და გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც ამის ყველაზე უფრო ადეკვატური მოცემულობა იყო.

***– რატომ ჩათვალა ახლა საჭიროდ?***

– საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა, ქვეყანას ჰყავს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი, ყველას თავისი ფუნქცია აქვს. ამ ვითარებაში, ცხადია, რომ პარტია შემდგომ, 2020 წლის არჩევნებზე ფიქრობს. მომავალი არჩევნებისთვის ჩვენ ძლიერი პარტიული სისტემა გვჭირდება, მე ვიტყოდი, ევროპული სტანდარტის, რასაც ძლიერი ლიდერი უნდა ჰყავდეს, რომელიც თავისი ავტორიტეტით კიდევ უფრო გააძლიერებს და კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი მხარდამჭერების რიგებს. არა მგონია, ეს გაუგებარი იყოს ვინმესთვის, პირიქით, ყველაფერი ლოგიკური და სწორია.

***– პარტიაში იცოდით ივანიშვილის დაბრუნების შესახებ თუ ეს მოულოდნელად მოხდა?***

– ამაზე ყოველთვის იყო მსჯელობა. კულუარებში თუ კულუარებს გარეთ ყოველთვის ვამბობდით, რა კარგი იქნებოდა, რომ ბატონი ბიძინა პარტიულ საქმიანობაში ყოფილიყო ჩართული. ჭორები, რომ ბატონი ბიძინა არაფორმალურად მართავდა, იყო აბსოლუტური აბსურდი და ეს დადასტურდა კიდეც. ბატონმა ბიძინამ დღესაც ისაუბრა ამაზე, ვინმემ თქვას, ვის მივეცი მითითებაო. თუ მოქმედი პრემიერი ყოფილ პრემიერს რჩევას ჰკითხავს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაშიც. ნებისმიერ ჩვენგანს სურს, რომ ბატონი ბიძინას პოზიტიური როლი უფრო გამოკვეთილი იყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამაში უცნაური რა არის?! ერთმანეთთან ამაზე არაერთხელ გვისაუბრია.

***– როგორი იყო მისი განწყობა შეხვედრაზე?***

– არაჩვეულებრივი.

***– რა საკითხზე საუბრობდა, რაზე აკეთებდა აქცენტს, სამომავლო გეგმებზე ისაუბრა?***

– ძირითადად საუბარი იყო მის დაბრუნებაზე, პროცედურებზე. პოლიტსაბჭო მას წარადგენს და ყრილობა გადაწყვეტს მის თავმჯდომარეობას. ზოგადად შევაფასეთ მისი ნაბიჯი და ყველა მივესალმეთ. ბევრი პარტიული საკითხი იქნება გადასაწყვეტი და ამ და სხვა საკითხებზე ვმსჯელობდით.

***– პარტიულ თანამდებობებზე იყო საუბარი, ვინ შეიცვლება, როგორ გადანაწილდება ფუნქციები?***

– ამ ეტაპზე კონკრეტული საუბარი არ გვქონდა. მოგვიანებით პოლიტსაბჭოს ფორმატში ამ საკითხებს დავუბრუნდებით. ეს სტანდარტული პროცედურებია.

***– როდის იქნება პარტიის ყრილობა?***

– მაისის დასაწყისში.

***– საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება იყოს ივანიშვილი?***

– ეს საკითხი დაყენებული არ ყოფილა.

***– პრემიერის ცვლილებაზე იყო საუბარი? პრემიერის პოზიციას შეიძლება ივანიშვილი დაუბრუნდეს?***

– პრემიერი აგრძელებს მუშაობას ჩვეულებრივ რეჟიმში. ქვეყანას სტაბილურობა სჭირდება, ამიტომ რამე სახის ცვლილებებს არც მთავრობაში უნდა ველოდოთ და არც – პარლამენტში. სტაბილურობა გვჭირდება. ამიტომ უახლოეს ხანებში საკადრო ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

***– ბატონო ირაკლი, ამ შეხვედრაზე საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებზე არ იყო საუბარი?***

– იყო საუბარი. რაზეც შიგნით ვმსჯელობთ, ყველაფერზე ღიად ვერ ვისაუბრებ. თუმცა, იყო მსჯელობა. ახლა არის კანდიდატის შერჩევის პროცესი, ეს ეტაპია.

***– რამდენიმე კანდიდატია?***

– დიახ. სხვადასხვა ვარიანტია და ამაზე ვმსჯელობთ. ამაზე მეტს ვერ მათქმევინებთ.

# იაშვილის კლინიკაში ჰიპოკრატეს ფიცი მას შემდეგ დაივიწყეს, რაც იქ BGEO ჯგუფი შევიდა

ერთი წლისა და ორი თვის ნენე მოდებაძის ისტორიამ კიდევ ერთხელ დააფიქრა საზოგადოება, თუ რა ხდება ქვეყნის მთავარ პედიატრიულ საავადმყოფოში.

საქართველოში ალბათ არ არსებობს ოჯახი, რომელსაც ერთხელ მაინც არ მიუმართავს იაშვილის სახელობის კლინიკისათვის, რომელიც ათეულობით წლების განმავლობაში, ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი დაწესებულებაა ბავშვთა ჯანმრთელობაზე და რომელიც არცთუ იშვიათად ხდება უკმაყოფილების ობიექტი.

ერთი წლის წინ იაშვილის კლინიკაში ორი თვის ბავშვისთვის გაკეთებული ოპერაციის ფატალურ შეცდომაზე ფრანგი ექიმები მას შემდეგ ალაპარაკდნენ, როცა ნენეს მუცლის ღრუში სამედიცინო დოლბანდი აღმოაჩინეს.

დღეს ამ ფაქტის სამართლებრივ შეფასებაზე საქართველოში სამართალდამცველები და ადამიანის უფლებების დამცველები ერთობლივად მსჯელობენ.

გამოძიება უკვე მუშაობს და, სავარაუდოდ, კონკრეტული ექიმის ბრალეულობაზეც გამოიტანს დასკვნას. თუმცა რეალური მიზეზების დადგენა და, მით უმეტეს, მასზე შემდგომი რეაგირება, რა თქმა უნდა, მის კომპეტენციაში არ შედის. ამისათვის ქვეყანაში ჯანდაცვის სამინისტრო არსებობს, რომლის მინისტრმაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ აღიარა, რომ „ამ კლინიკაში ყველაფერი რიგზე არ არის.“

მას შემდეგ თითქმის სამი წელი გავიდა, მაგრამ როგორც ჩანს, რეაგირება აგვიანებს. დღესაც, ვისაც შეხება ჰქონია ბავშვთა მთავარ საავადმყოფოსთან, ხშირად საუბრობენ პრობლემებზე – დაწყებული ელემენტარული უყურადღებობით, ხშირად ფატალური შედეგით დასრულებულ ოპერაციებზე.

მსოფლიო მედიცინაში წარუმატებელი ფაქტები არავის უკვირს, თუმცა ვინც კარგად იცის იაშვილის კლინიკის შიდა სამზარეულო, ისინი მთავარ პრობლემას სულ სხვა მიმართულებით ხედავენ.

უკვე ყოფილი, დღეს დასაქმებული ექიმები თუ ექსპერტები ღიად საუბრობენ იმაზე, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ორიენტირებულია ფინანსებზე და არა პაციენტის მომსახურებაზე. მათი თქმით, კლინიკაში ჰიპოკრატეს ფიცმა უკანა პლანზე მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც სისტემით არაპროფილური მიმართულების, წმინდად კომერციული ინტერესების მქონე „საქართველოს ბანკი“ და მისი შვილობილი კორპორაცია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ GHG დაინტერესდა.

კორპორაცია „სამედიცინო კორპორაცია „ევექსს“ და სადაზღვევო კომპანია „იმედი L-ს“ მართავს და ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევისა და ჯანდაცვის სერვისების ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია. „ევექსი“ ქართულ ბაზარზე დღეს 44 სამედიცინო დაწესებულებით არის წარმოდგენილი.

სხვათა შორის, 2015 წელს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“, როგორც წარმატებული ბიზნესსუბიექტი, ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში განთავსდა და 100 მილიონი დოლარის მოცულობის ახალი კაპიტალიც მოიზიდა.

მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან და შეფასებებიდან ჩანს, რომ ამ ინვესტიციას არც უშუალოდ „ევექსის“ საავადმყოფოების (მათ შორის, იაშვილის კლინიკის) განვითარებაზე და არც იქ დასაქმებულ მედპერსონალის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია, რაც საბოლოოდ პაციენტზე უნდა ასახულიყო.



ლოგიკურად იბადება კითხვა, სად წავიდა ეს თანხა? მოხმარდა თუ არა იგი საავადმყოფოების განვითარებას, რის პირობასაც თავად კორპორაციის ხელმძღვანელები დებდნენ თუ არამიზნობრივად დაილექა კონკრეტული პირების ჯიბეებში?

ფაქტია, ფინანსური პრობლემები პერიოდულად იმდენად მწვავედ იჩენს თავს „ევექსში“ , რომ ექიმები იძულებულნი არიან თეთრი ხალათი გაიხადონ. მაგალითად, ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში განთავსებიდან რამდენიმე დღეში „ევექსის“ თანამშრომლები ხელფასის დაგვიანების გამო გაიფიცნენ. ამავე მიზეზით ოთხი თვის წინ საპროტესტო აქციები გაიმართა იაშვილის კლინიკაში. ეს მაშინ, როცა ბიჯიო ჯგუფის (საქართველოს ბანკი) გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის წლიურმა შემოსავალმა მხოლოდ 2017 წელს, გადასახადების ჩათვლით, 5,097,000 აშშ დოლარი შეადგინა. (ცოტა ხნის წინ, ამ თემაზე „კომერსანტი“ ვრცლად წერდა). სწორედ გილაურს ავალია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფზე“ და მასში შემავალი კორპორაციებზე ზედამხედველობა.

თუმცა კორპორაციის მიმართ თანამშრომელთა პრეტენზიები ამით არ შემოიფარგლება. რამდენიმე წლის წინ „ევექსში“ არსებულ სისტემურ პრობლემებზე ღიად საუბრობდნენ კლინიკა „ახალი სიცოცხლის“ ექიმები, რის გამოც რამდენიმე ათეულმა მედიკოსმა და მთავარმა ექიმმა ზაზა სინაურიძემ კლინიკა დატოვეს და საზოგადოება და ჯანდაცვის სამინისტრო გააფრთხილეს, რომ სისტემური პრობლემის გამო კლინიკა ხშირ შემთხვევაში არა პაციენტზე, არამედ ინვესტორის მოგებაზეა ორიენტირებული.

როგორ გაიგეს ეს გზავნილი ქვეყნის ჯანდაცვაზე პასუხისმგებელმა პირებმა, რა ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს იმ დროს, როდესაც კერძო საავადმყოფოებში პაციენტების მომსახურების წყვეტა ხდება, რა დგას „ევექსისადმი“ ჯანდაცვის სამინისტროს ლოიალური პოზიციის უკან – სამინისტროს რომელიმე მაღალჩინოსნის ინტერესები, თუ გულგრილობა? – ეს ის მთავარი შეკითხვებია, რომელსაც „კომერსანტი“ უკვე რამდენიმე წელია სვამს, მაგრამ არც ამ თემაზე და არც „ევექსთან“ დაკავშირებულ სხვა პრობლემაზე, რომელზეც ჩვენს არაერთ სტატიაში იყო საუბარი, ჯანდაცვის სამინისტროს არ უსაუბრია. უწყება ამ პრობლემაზე ქმედით რეაგირებას ვერ ახდენს და შესაბამისად, ქართული სამედიცინო სისტემის შეცდომების გამოსწორება უცხოელ კოლეგებს უწევთ, რაც არა მხოლოდ ავადმყოფის მდგომარეობაზე, არამედ ქვეყნის იმიჯზეც უარყოფითად აისახება.

**კომერსანტი**

# ვის გაუშვებს ბიძინა ივანიშვილი პოლიტსაბჭოდან

დასაწყისი მე-2 გვერდზე

წორებასა და ქვეყნის სწორ გზაზე დაბრუნებას. ის, რომ მან ეს პასუხისმგებლობა აიღო, კარგია. რას და როგორ შეძლებს, ამას უახლოესი დღეები და დრო გვაჩვენებს, რადგან კოსმეტიკური ცვლილებები ვერ უშველის.

თავისთავად ეს არის უნიკალური შემთხვევა მსოფლიოში, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვებული ძალა ერთ წელიწადში ამ ზომამდე მიდის, სთხოვს საკუთარ დამფუძნებელს – მოდი, გვიშველე, თორემ ჩამოგვექცა თავზე ყველაფერიო. მინდა, ვისურვო, რომ სახელისუფლებო გუნდი სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ ვითარებას, ხელიდან არ გაუშვებს მართვის სადავეებს დროზე ადრე და შეძლებს სამართლიანი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

* * *

როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, პარტიის ლიდერებისთვის ყოფილი პრემიერის დაბრუნება სასიამოვნო სიურპრიზი არ იყო. მის დაბრუნებას რომ არავინ ელოდა, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ კალაძე და კვირიკაშვილი პოზიციებს იძლიერებდნენ.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ პარლამენტს, ფაქტობრივად, კალაძე აკონტროლებს და კვირიკაშვილმა რეგიონების გაკონტროლება ცადა.

ბოლო დღეებში რეგიონებში მმართველი პარტიის კონფერენციები გაიმართა, სადაც რაიონული პარტიის თავმჯდომარეები მერებით შეიცვალნენ. მანამდე ეს პოსტები მაჟორიტარ დეპუტატებს ეკავათ. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, კვირიკაშვილი სწორედ ამ გზით ცდილობდა პოზიციის გამყარებას, რაც პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის დასახელებით დასრულდებოდა.

ივანიშვილმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და, ვინ იცის, რამდენი ბობოლა მეოცნების ოცნებამ დალია ჩაილურის წყალი.

„ტვ. პირველის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოდან პოლიტიკური ლიდერების დიდ ნაწილს წასვლა მოუწევს.

„რეაქციის“ წამყვან ინგა გრიგოლიას განცხადებით, უახლოეს ყრილობაზე, სადაც ბიძინა ივანიშვილს ოფიციალურად აირჩევენ პარტიის თავმჯდომარედ, პოლიტსაბჭოდან გაუშვებენ ყველას, გარდა აღმასრულებელი მდივნის – ირაკლი კობახიძის, გენერალური მდივნის – კახი კალაძისა და თავად კვირიკაშვილისა, რომელიც პოლიტსაბჭოში რიგით წევრად რჩება.

# „გიგა ბოკერია და იგორ გიორგაძე ერთად მოქმედებენ“

## ემზარ კვიციანი: „მოღალატეებმა ბრძოლა გამომიცხადეს“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ და რა ჭორებს უვრცელებს ემზარ კვიციანს, რა კავშირშია ამ ყველაფერთან იგორ გიორგაძე, რატომ უნდა გახდეს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა დასჯადი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **ემზარ კვიციანი** ესაუბრება.

***– თქვენ მიერ ინიცირებულ კანონს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა. ელოდით ასეთ რეაქციას?***

– იმ ქვეყანაში, რომლის პარლამენტშიც გიგა ბოკერია იჯდება, ყველაფერია მოსალოდნელი. ველოდი, რომ ამაზე დიდი ამბები ატყდებოდა, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ ამ კანონის გამო შვილებით დამიწყებდნენ ბრძოლას.

***– შვილებით ბრძოლაში რას გულისხმობთ?***

– როცა ამ კანონის ინიცირება მოხდა, ირინა სარიშვილმა ფეისბუქზე დაწერა, რომ თითქოს მე შეურაცხვყავი მართლმადიდებლების რელიგიური გრძნობები, რადგან ჩემს შუათანა შვილს იესო დავარქვი.

მინდა ყველამ იცოდეთ, რომ მას არა იესო, არამედ იასე ჰქვია. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ თავიდან მართლა იესოს დარქმევა მინდოდა. ამაში ცოდვას ვერაფერს ვხედავდი, ძალიან მიყვარს უფალი და მინდოდა, ჩემს შვილს მისი სახელი რქმეოდა.

იასე რომ დაიბადა, იმ დროისთვის ეკლესიურ საკითხებში კარგად არ ვიყავი ჩახედული, უბრალოდ, მწამდა ღმერთი. აქედან გამომდინარე, არ ვიცოდი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. მამაოებს როცა ვესაუბრე, მითხრეს, რომ იესოს დარქმევა არ შეიძლებოდა და ბავშვს იასე დავარქვი. მისი ნათლობის სახელი არის იოანე.

ირინა სარიშვილს მე ბევრი რამის გამო ვცემ პატივს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მაგარი ქალია, ამდენ ბავშვს ზრდის. მისგან ნამდვილად არ ველოდი, თუ შვილით დამიწყებდა ბრძოლას. დარწმუნებული ვარ, ეს არც მას უნდოდა, ყველაფერი იგორ გიორგაძის გამო გააკეთა.

***– იგორ გიორგაძე რა შუაშია?***

– გიორგაძე მე ვერ მიტანს. სარიშვილი მისი ახლობელია და მას დაავალა, გავემწარებინე. როგორც კი ეს კანონპროექტი წარვადგინე, ყველა მხრიდან დამიწყეს შეტევები.

***– იმის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თქვენ აღიარეთ, რომ 2006 წელს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდით. ამაზე რას იტყვით?***

– ცილისწამებაა. რამდენიმე ტელევიზიამ და სააგენტომ სიხარულით გამოაცხადეს, ემზარ კვიციანმა აღიარა, რომ 2006 წელს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდაო. ამის დამადასტურებლად წარმოადგინეს ნაწყვეტები ჩემი ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც შეგნებულად იქნა დაჩეხილ-დამახინჯებული.

სინამდვილეში დეტალურად ავხსენი, რა და როგორ იყო. რუსეთის სპეცსამსახურებთან საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ითანამშრომლა. ეს ყველაფერი იმ გეგმის ნაწილი იყო, რომელიც 2008 წელს კოდორის ჩაბარებით დასრულდა.

ჩემზე რომ გაიძახიან, კვიციანი რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდაო, თავად რომელი ქვეყნის დავალებას ასრულებდნენ, ხეობა ერთი გასროლის გარეშე რომ ჩააბარეს.

საქართველოში დაბრუნების დღიდან კატეგორიულად ვითხოვ კოდორის მოვლენების გამოძიებას. ეს მოთხოვნა დეპუტატის რანგშიც დავაყენე, მაგრამ ცოცხალი თავით არ სწავლობენ ამას. რამე რომ მქონდეს მიქარული, იმ საქმის გამოძიებას მოვითხოვდი? დავალებების შესრულება და აგენტობა იმ ხალხს უნდა მოვკითხოთ, ვინც გამოძიების წინააღმდეგია.







ყველა მიმართულებით მიტევენ, არ მპატიობენ რელიგიური გრძნობების დაცვისთვის ბრძოლას. ისე დაეცნენ, ფეისბუქზე რაღაცებს წერენ, თითქოს მე დავწერე. ასეთი რაღაცა გააკეთეს, თითქოს მე სოციალურ ქსელში დავწერე, ემზარის ნაცვლად დღეიდან ემზო დამიძახეთო.

ვინც მე მიცნობს, კარგად იცის, როგორ ვერ ვიტან, როცა მამაკაცებს მოფერებით სახელებს უცვლიან. არასდროს და არავისგან მოვითხოვდი, ემზო დამიძახეთ-მეთქი და ისე, რომც მომეთხოვა, ვისი რა საქმეა, ემზო მერქმევა თუ ბაბაჯო. ჩემზე ასეთი ჭორების გავრცელებას ურჩევნიათ, საკუთარ წარსულს მიხედონ.

მეთოდები გიგა ბოკერიასი, რომელიც იგორ გიორგაძის მითითებებს ასრულებს, ვერ შემაჩერებს.

***– რა მითითებებს უსრულებს გიორგაძეს ბოკერია?***

– ჩემს წინააღმდეგ შავ პიარს აგორებენ. წინა მოწვევის პარლამენტშიც იყო ამ ტიპის კანონპროექტი ინიცირებული, მაგრამ მოულოდნელად უკან გაიწვიეს. მაშინ ამაში არასამთავრობოები და საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერივნენ. ახლაც ასე ხდება. უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები და პოლიტიკოსები ყველაფერზე მიდიან. ბოკერიაც უცხოეთიდან ფინანსდება, თავს მედასავლეთედ ასაღებს და იგორ გიორგაძის დავალებების შემსრულებელია.

***– იგორ გიორგაძე რატომ უნდა იყოს იმის წინააღმდეგი, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა დასჯადი გახდეს?***

– ის ყველაფერს ეწინააღმდეგება, რაც საქართველოსთვის არის კარგი. ამ კანონის მიღება აუცილებელია. ეს კანონი თუ არ მივიღეთ და რაღაც რეგულაციები არ დავაწესეთ, ბევრი ცუდი რამე მოხდება.

ერთ-ერთმა წამყვანმა თავის გადაცემაში მკრეხელური განცხადება გააკეთა. ამით აღშფოთებულმა ახალგაზრდებმა აქცია გაუმართეს, რომელიც პროვოკაციაში გადაიზარდა. დღეს ქართული მარშის 7 წევრი ციხეში ზის. ეს კანონი რომ გვქონოდა, ამ ბიჭებს იქ მისვლა აღარ დასჭირდებოდათ, ყველაფერს კანონი დაარეგულირებდა.

საქმე ისე მიდის, ჩვენს წმინდანებს ისეთ შეურაცხყოფას აყენებენ, რომ შეიძლება ბევრი უბედურება დატრიალდეს. ეს უბედურება და არეულობა ქვეყნის მტრებს აწყობთ. ამიტომაც დამიწყეს ბრძოლა.

იგორ გიორგაძე ამოჩემებული კი არ მყავს, მაგრამ მაგას არც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარება უნდა, ყველაფერს აკეთებს, რომ თბილისი და მოსკოვი არ მორიგდნენ.

***– გიორგაძეს რატომ არ უნდა აწყობდეს რუსეთთან სიტუაციის დარეგულირება?***

– როგორც კი სიტუაცია დარეგულირდება, ის რუსეთისთვის საინტერესო აღარ იქნება. ამიტომაც მოქმედებს ბოკერიასთან ერთად. რუსეთთან ურთიერთობას მაინც დავარეგულირებთ. ამ თემაზე ჩვენი პარტია მართავს მოლაპარაკებებს. ჩვენ აფხაზებსა და ოსებსაც დაველაპარაკებით, საერთო ენას გამოვნახავთ და დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ. მოღალატეებს ამის ძალიან ეშინიათ. მათ ქართული ეკლესიის გაძლიერებაც აშინებთ და ამიტომ გამომიცხადეს ბრძოლა.

## ბიზნესმენები: „ივანიშვილის დაბრუნება სტაბილურობის განცდას ქმნის“

– ივანიშვილის დაბრუნება პრობლემებისა და სირთულეების სწრაფად გადალახვისთვის გადადგმული ნაბიჯი იქნება, – ასე ეხმაურება ბიზნესი ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მმართველ გუნდში დაბრუნებას.

„კომერსანტთან“ საუბრისას ბიზნესმენებს ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მოსაზრებები აქვთ. ბიზნესმენები მიიჩნევენ, რომ ეს ნაბიჯი ახალი ინიციატივებისთვის და ბიზნესში არსებული სირთულეების გადალახვისთვის გადაიდგა.



როგორც „კომერსანტს“ „შუხმან გრუპის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნუცა აბრამიშვილმა განუცხადა, ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება ბიზნესში ახალი ინიციატივების დაწყებას უკავშირდება.

– დაბრუნება უკავშირდება იმას, რომ მან საკადრო პოლიტიკის პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. საკუთარი გამოცდილებით თვლის, რომ ხელმძღვანელი თავად უნდა იყოს. მისი დაბრუნდებით ზოგადად ბიზნესში ახალი ინიციატივები დაიწყება, – აღნიშნა ნუცა აბრამიშვილმა.

კომპანიის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ღვინის ბიზნესის განვითარება სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა.

– მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის რანგში იყო წარმოდგენილი დარგის, როგორც მეღვინეობის განვითარებისთვის ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. დაწყებული სხვადასხვა პროექტებით, დასრულებული შეღავათიანი სესხით.

ღვინო დიდი პრიორიტეტის მქონე პროდუქცია გახდა. ამიტომ მეტია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქართული მეღვინეობა იმ მწვერვალზე შენარჩუნდეს, სადაც ვიმყოფებით, – განაცხადა აბრამიშვილმა.

Technoboom-ის დამფუძნებლის ანზორ ქოქოლაძის განცხადებით, ბიზნესისთვის ივანიშვილის დაბრუნება დამატებითი სტაბილურობის გარანტია.

– მიმაჩნია, რომ მისი დაბრუნება ქვეყანაში, როგორც ინვესტორების, ისე ადგილზე არსებული ბიზნესსუბიექტების მხრიდან სტაბილურობის განცდას ქმნის. მისი გავლენა ქვეყანაში დიდია და რა ფორმით მიიღებს ახლა მონაწილეობას ამას ვნახავთ. ამ ეტაპზე სხვა წინასწარი მოლოდინები არ მაქვს, – აღნიშნა ქოქოლაძემ.

„თბილღვინოს“ გენერალური დირექტორი ზურა მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის მმართველ გუნდში დაბრუნება არსებული სირთულეების სწრაფად გადალახვისთვისაა საჭირო.

– ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ძირითადად ბიზნესისთვის დადებითი და სასარგებლო ნაბიჯები გადაიდგა და გამოვთქვამ იმედს, რომ მისი დაბრუნება პრობლემების და სირთულეების სწრაფად გადალახვისთვის გადადგმული ნაბიჯი იქნება. რათა უკეთესი ვითარება იყოს, როგორც ბიზნესისთვის ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის, – განაცხადა მარგველაშვილმა.

**კომერსანტი**

## საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ მზია გიორგობიანი დაინიშნა





საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ მზია გიორგობიანი დაინიშნა. 2014 წლის აგვისტოდან მზია გიორგობიანი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ამავე სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა 2001 წლიდან, საჯარო სამსახურში გადასვლამდე კი დასაქმებული იყო კერძო სექტორში.

მაია ცქიტიშვილს ამ ეტაპზე სამი მოადგილე ჰყავს – პირველი მოადგილეა ირაკლი ქარსელაძე, რომელიც პარალელურად საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს. მოადგილეები არიან ილია ბეგიაშვილი და მზია გიორგობიანი.

## ბოლო ერთ თვეში ბიძინა ივანიშვილი 50 მლნ დოლარით გამდიდრდა

Bloomberg-ის მილიარდერების ინდექსის თანახმად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ისევ პარტია „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ უხელმძღვანელებს, ბოლო ერთ თვეში 0.05 მილიარდი (50 მლნ) დოლარით გამდიდრდა.

კერძოდ, 2018 წლის 25 აპრილის მონაცემებით, მისი ქონება 5.80 მილიარდი დოლარია, მაშინ როცა, 25 მარტის მდგომარეობით მისი ქონება 5.75 მილიარდ დოლარს შეადგენდა. 2018 წლის 24 იანვრის მდგომარეობით კი ინდექსის მიხედვით, ივანიშვილის ქონება 5.92 მილიარდი იყო.

ამასთან, ამ დროისათვის ივანიშვილი მსოფლიოს 295-ე უმდიდრესი ადამიანია. ინდექსის თანახმად, ივანიშვილის კუთვნილი ხელოვნების ნიმუშები 1 მლრდ დოლარზე მეტადაა შეფასებული.

ცნობისთვის, მილიარდერების ინდექსის თანახმად, 2013 წლის 25 აგვისტოს მონაცემებით, მისი ქონება 6.40 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

**კომერსანტი**

# „ვითხოვთ ირაკლი დოკვაძის გათავისუფლებას“

## მერაბ კოსტავას ეზოში აქცია გაიმართა

გულიკო ბალაძე

მერაბ კოსტავას ეზოში ირაკლი დოკვაძის გათავისუფლების მოთხოვნით აქცია მოეწყო.

აქციაზე პარტია „თავისუფლების“ წარმომადგენელმა **მალხაზ გორგასლიძემ** განაცხადა, რომ ირაკლი დოკვაძე არის ერთადერთი პოლიტპატიმარი, რომლის რეაბილიტაცია სასამართლომ განახორციელა.

***— იმ საქმეზე რას იტყვით, რომელზეც ირაკლი დოკვაძე ციხეში ზის?***

— საქმეში იყო ორი დაზარალებული, ცოლი და ქმარი. დაზარალებული ცოლის ადვოკატმა სასამართლოზე განაცხადა, რომ ის ელაპარაკა თავისი დაცვის ქვეშ მყოფს, ერთ-ერთ დაზარალებულს და მან ირაკლი დოკვაძე ამ საქმეში დამნაშავედ არ ცნო. მეორე დაზარალებულმა, ქმარმა, სამუშაო ვერსიად წამოაყენა, რომ ირაკლი დოკვაძე დაიქირავა მისმა რძალმა, რომელსაც სურდა მისი ლიკვიდაცია, რათა ქონება ჩაეგდო ხელში.


მალხაზ გორგასლიძე

***— სასამართლოზე ის რძალიც დაუპირისპირდა და დაზარალებულის ცოლისდებმა განაცხადეს, რომ ირაკლი დოკვაძე არაფერ შუაშია. დაზარალებული ელზა გულიაშვილი ამბობს, რომ ირაკლი დოკვაძეს მისთვის არ დაურტყამს.***

— სასამართლომ მისი მოსმენა არ ისურვა და არ დანიშნა სასამართლო ექსპერტიზა, რადგან იმ დროისთვის დაზარალებული ელზა გულიაშვილი ქმედებაუუნაროდ იყო ცნობილი. სასამართლომ ხელახალი ექსპერტიზა არ დანიშნა. ამიტომ ის დღემდე ქმედებაუუნაროა. როდესაც ელზა გულიაშვილის ოჯახს ვუკავშირდებით, ისინი პირდაპირ გვეუბნებიან, ჩვენ რაც შეგვეძლო, გითხარით, რომ უდანაშაულოა. ჩვენზე ისეთი ზეწოლა ხორციელდება, რომ მეტს ვერაფერს ვიტყვით, დიდი ტერორის ქვეშ ვართო. ოჯახი აღიარებს, რომ მუდმივი ტერორის ქვეშ არის.

***— შეიძლება თქვენს აქციას გამოეხმაუროს დაზარალებული გოჩა კვირქიშვილი. რა შეგიძლიათ თქვათ მის პოზიციაზე?***

— კვირქიშვილმა რამდენიმე ჩვენება მისცა და ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. პირველ ჩვენებებში კვირქიშვილი ირაკლი დოკვაძეს ხელს არ ადებს. მან თვითონ უნდა თქვას, შემდეგ რა მოხდა, ირაკლი დოკვაძეს ხელი რატომ დაადო. ის რას იტყვის, მისი საქმეა. მთავარია, სიმართლე გარკვეულია და ეს სიმართლე ადრე თუ გვიან გამჟღავნდება. ყველაფერი მეტყველებს მის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. რატომ ჩაიდინა ეს უსამართლობა და რატომ დააბრალა ირაკლი დოკვაძეს დანაშაული, მან უნდა უპასუხოს.


ირაკლი დოკვაძე

***— ვადაზე ადრე გათავისუფლება არ ეხება?***

— ძალიან მარტივად ეხება. 30 წელი ჰქონდა მისჯილი. ამნისტია 30 წლიდან კი არა, 36 წლიდან უანგარიშეს.

***— ამნისტიის დროს საქმე ვინ განიხილა?***

— ირაკლი დოკვაძესთან დაკავშირებულ საქმეებს ერთი და იგივე მოსამართლე, თეთრაული, განიხილავდა სხვადასხვა ინსტანციაში. კანონი ცალსახად ითხოვს, მოსამართლემ, რომელმაც განაჩენი მოცემულ საქმეზე გამოიტანა, სააპელაციო სასამართლოში ან ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საქმე აღარ უნდა განიხილოს. მოსამართლე ერთხელ და ორჯერ რომ განიხილავს საქმეს და განაჩენს გამოიტანს, შემდეგ თავის დადგენილ განაჩენს შეცვლის?! ამ პირის მიმართ ეს კანონიც ირღვევა. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის მოტივი არ არის დადგენილი. თუ მოტივს ვერ ადგენ, ადამიანს როგორ ასამართლებ.

* * *

**ირაკლი დოკვაძის დედა, ლეილა დოკვაძე:**



ლეილა დოკვაძე

— სასამართლოს მსვლელობის დროს ელზა გულიაშვილის დები სულ ჩემთან იყვნენ. მათ რომ არ სცოდნოდათ, ირაკლი არაფერ შუაში იყო, თმებით არ მითრევდნენ?! დაზარალებულად ცნობილი ელზა გულიაშვილის ადვოკატმა დათო დადიანმა ირაკლი დოკვაძის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლება მოითხოვა. ელზა გულიაშვილმა მითხრა, ირაკლი არაფერ შუაშიაო.

* * *

უფლებადამცველი **გიორგი თევზაძე** აცხადებს, რომ ირაკლი დოკვაძე უკანონო პატიმარია.

***— თქვენ რის საფუძველზე აცხადებთ, რომ ირაკლი დოკვაძე უკანონო პატიმარია?***

— ირაკლი დოკვაძე უკანონო პატიმარია, რადგან მის მიმართ წაყენებული ბრალი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. ამასთან, ეს საქმე თეთრი ძაფით არის ნაკერი. ვინც საქმეში ჩაიხედავს, ამას ნათლად დაინახავს. მე ვესაუბრე მის პირად ადვოკატ ვლადიმერ ტაბაღუას, ასევე დაზარალებულ ელზა გულიაშვილის უფლებადამცველ დავით დადიანს, რომელმაც სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ირაკლი დოკვაძე უდანაშაულოა და მოცემულ საქმეში მისი გამართლება მოითხოვა.

***— ამ განცხადებებმა ირაკლი დოკვაძის საქმეში ცვლილება რატომ არ მოიტანა?***

— გამოძიებისთვის უმთავრესი დაზარალებულის პოზიციაა. ამ საქმეში ერთ-ერთი დაზარალებული აცხადებს, რომ ირაკლი დოკვაძე უკანონო პატიმარია.

***— მეორე დაზარალებულის პოზიცია გაიზიარეს?***

— დიახ. დაზარალებულის დები, რომლებიც სასამართლო პროცესებზე დაზარალებულის მხარეს გამოდიოდნენ, აცხადებენ, რომ ირაკლი უკანონო პატიმარია და მას მისთვის შერაცხული დანაშაული არ ჩაუდენია.

***— მას შემდეგ 9 წელი გავიდა. დები კი აცხადებენ, რომ უდანაშაულოა, მაგრამ რეალურად რატომ ვერ აისახა ეს სასამართლო გადაწყვეტილებაში?***

— სასამართლო უნდა იყოს სამართლიანი, მართლმსაჯულება სამართლიანად უნდა განხორციელდეს და პოლიტიკური ნება უნდა არსებობდეს.

ფაქტია, რომ პოლიტპატიმრების სიაში ირაკლი დოკვაძე არ მოხვდა, როდესაც არჩევნებამდე მისი საქმე განიხილა კომისიამ (რომლის წევრი ეკა ბესელიაც იყო) და ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმრად ცნო. 2012 წელს ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმართა სიაში რატომ არ ჩასვეს, ამან საზოგადოებაში დამატებითი კითხვები გააჩინა. საქართველოს ხელისუფლებამ ირაკლი დოკვაძის საქმე უნდა გადასინჯოს და უკანონო პატიმრობიდან გაათავისუფლოს.


გიორგი თევზაძე

***— დოკვაძის საქმე საქართველოს პროკურატურაშია გადაგზავნილი?***

— დიახ, ქალბატონმა ლეილა დოკვაძემ და მისმა ადვოკატებმა მიმართეს პარლამენტს, რომელმაც ძირფესვიანად შეისწავლა საქმე და დადო დასკვნა. აღნიშნული დასკვნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იქ მუხლობრივად არის ჩამოყალიბებული ის დარღვევები, რომლებიც ამ საქმეშია ირაკლი დოკვაძის მიმართ დაშვებული. დასკვნა პროკურატურაში გადაიგზავნა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ისმის კითხვა, რატომ?

# რატომ შეიცვალა კიდევ ერთხელ პრემიერი ოკუპირებულ აფხაზეთში?

## ხაჯიმბა: „რუსეთში სირთულეებია“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში ისევ კრიზისი და საკადრო გადაადგილებებია. ბესლან ბარციცი, რომელმაც საოკუპაციო რეჟიმის პრემიერის პოსტი 2016 წელს დაიკავა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაუშვეს. მის ადგილას რაულ ხაჯიმბამ გენადი გაგულია დანიშნა. იგი ხაჯიმბას მმართველობის პერიოდის მეოთხე პრემიერ-მინისტრია.

აქამდე გენადი გაგულია აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატას ხელმძღვანელობდა. მას მთავრობის თავმჯდომარეობის გამოცდილებაც აქვს 1995-1997, ასევე 2002-2003 წლებში.

### „დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ“

ამასთან, მთავრობის შემადგენლობა არ იცვლება. ხაჯიმბას ამ გადაწყვეტილებას არ მიესალმა მმართველი ელიტისა და საზოგადოების ნაწილი. უკმაყოფილონი მინისტრთა კაბინეტშიც არიან. გაგულიას მთავრობის წინაშე წარდგენისას ხაჯიმბამ კრიტიკოსებს ურჩია, ყველაფერი საჯაროდ განაცხადონ:

— ჯობია, ყველაფერი პირში თქვათ. კომპიუტერთან ჯდომა და შეფასებები ლამაზი არ არის. იმედი მაქვს, მინისტრთა კაბინეტის მუშაობა გაგრძელდება. გადასაწყვეტია საკითხები. ყველაფერი ისე ცუდად არ არის, როგორც ხანდახან წარმოვიდგენთ. სიძნელეებს აჩენს არა მარტო ჩვენი საშინაო სიტუაცია. რუსეთში და მის გარშემო სირთულეებია. ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება.

ოკუპირებული აფხაზეთი თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, თუმცა გაგულიას წარდგენისას ხაჯიმბას სხვა რამ წამოსცდა:

— არ გამოვა ლაპარაკი იმაზე, რომ ვართ ცალკე აღებული ქვეყანა, რომელიც სამოთხეს გააჩენს. გთხოვთ, ეს მიიღოთ მხედველობაში და აქტიურად ჩაერთოთ მუშაობაში.

პრემიერის გადაყენება გარკვეული ხნის წინ მოითხოვა ხაჯიმბას ოპოზიციამ, თუმცა ეს არ ყოფილა ოპოზიციის მთავარი პრეტენზია. ოპონენტები ამაზე ხშირად ხაჯიმბას გადადგომასა და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, კორუფციასთან ბრძოლას, ასევე სისტემურ ცვლილებებს მოითხოვდნენ.



არსებობს წინადადება, რომ აფხაზეთში გაუქმდეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, მთავრობა კი პირადად პრეზიდენტს დაექვემდებაროს. ჯერჯერობით ეს საკითხები არ განიხილება.

პარლამენტის ოპოზიციამ, რომელშიც ხაჯიმბას მუდმივი ოპონენტი ასლან ბჟანიაც შედის, მოამზადა ანტიკორუფციული კანონპროექტების პაკეტი. ის მოხელეებისა და დეპუტატების მხრიდან დეკლარაციების შევსებასაც გულისხმობს.

მომავალ წელს ოკუპირებულ რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნებია. მანამდე ხაჯიმბას გარკვეული ცვლილებების გატარება მოუწევს.

გენადი გაგულია სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტობისას აქტიურად მუშაობდა საზღვარგარეთ. ეკონომიკური ურთიერთობების კვალდაკვალ ეს პალატა ყველა ღონეს ხმარობდა აფხაზეთის აღიარებისთვის.

პალატის მცდელობით ამ დღეებში აფხაზეთს ცალკე პავილიონი გამოეყო ბარსელონაში გამართულ სურსათის საერთაშორისო გამოფენაზე „ალიმენტარია-2018“. ოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის სტენდმა დიდი ინტერესი გამოიწვია გამოფენის მონაწილეებსა და დამთვალიერებლებში. სტენდი გაფორმებული იყო ეროვნული ატრიბუტებით. პრეზენტაციას ახლდა აჯიკის, ღვინის, ჯემების, ჩაის, თაფლის დეგუსტაცია. იქვე გავრცელდა ბუკლეტები საინვესტიციო და ტურისტულ შესაძლებლობებზე, აჩვენეს ფილმი აფხაზეთზე.

პრემიერ გაგულიას ამ მიმართულებით საქმიანობაში წვლილი მიუძღვის, თუმცა მისი დანიშვნა სხვა მიზეზებით არის განპირობებული. ეს არის კრიზისიდან გამოსვლის მცდელობა. ოკუპირებულ რეგიონში კრიზისია მმართველობის, მართლმსაჯულების, კრიმინალთან ბრძოლის, სოციალურ და სხვა სფეროებში.

აფხაზეთი ვერ გამოვიდა კლანური მმართველობიდან, კორუფციიდან და სიდუხჭირიდან. საერთაშორისო გამოფენებზე წარმოდგენილი ბრჭყვიალა დეკორაციები და ფირები არ ასახავს იმას, რაც აფხაზეთში ხდება.

# „ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ეკონომიკაში უკეთესად უნდა ერკვეოდეს“

## დემურ გიორხელიძე: „წლიურ 60%-იან სესხს ვერავინ გადაიხდის“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **დემურ გიორხელიძე** აფასებს.

***– ბატონო დემურ, წინა ინტერვიუში გამოთქვით ვარაუდი, რომ ლარის კურსი გაუფასურდებოდა. ბოლო კვირაა, ლარი გაუფასურებას მართლაც განაგრძობს. რა ხდება, რა პროცესი მიმდინარეობს?***

– ცენტრალური პრობლემა საქართველოში არის მაკროეკონომიკური, როცა ქართული ფულის მასა შეადგენს მთელი ქართული ეკონომიკის მხოლოდ 18%-ს. ფული არ არის ქვეყანაში. არ ჰყოფნის იგი ეკონომიკის განვითარებას, ამიტომაა დიდი დოლარიზაციის მაჩვენებელი, ამიტომაა ლარის კურსის რყევა. როგორც კი ოდნავ ზედმეტი მოთხოვნა გაჩნდება ლარზე, იმ წუთში იწყება დოლარზე ცვლილება. იმპორტზეა ქვეყანა დამოკიდებული. ეს ერთი ობიექტური მხარეა.

***– დანარჩენ ფაქტორებზე რას იტყვით?***

– მეორეა სუბიექტური მხარე და ეს არის გაუგებარი პოლიტიკა საქართველოს ეროვნული ბანკისა, რომელიც არ გამომდინარეობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან და არასწორ ორიენტირებზეა აგებული. მოშლილია კომერციული ბანკების კონტროლი. სულელური განცხადებები იმაზე, რომ ეროვნული ბანკი ბაზრის მოქმედებაში არ ერევა, არ ეპატიება კარგ მეორე კურსის სტუდენტსაც, რომ არაფერი ვთქვათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე, რომელმაც ძალიან კარგად უნდა იცოდეს თანამედროვე ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

***– არ იცის?***

– არაფერი ამის მსგავსი არ გამიგონია. ლარის კურსის ფორმირება მთლიანად კომერციული ბანკების ოპერაციებზეა მიბმული. ბუნებრივია, როგორც მათ აწყობთ, ისე იმოქმედებენ.

***– კომერციულ ბანკებს ადანაშაულებთ ცუდ პოლიტიკაში?***

– მე ამ შემთხვევაში კომერციულ ბანკებთან არანაირი პრეტენზიები არ მაქვს, რადგან კერძო სტრუქტურებია და, თუკი კერძო სტრუქტურა ეროვნულ ბანკს მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებას აიძულებს, მთელ მსოფლიოში ყველა გააკეთებს ამას. იგივე ხდება საქართველოშიც.

***– ეროვნული ბანკი ვერ ართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებებს?***

– სამწუხაროდ, სახელმწიფო ინსტიტუტი, კერძოდ, ეროვნული ბანკი, ვერ დადგა ის ინსტიტუტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მთავრობასთან ერთად მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში. ამიტომ ხდება ის, რაც მოსალოდნელი იყო.

***– და რა იყო მოსალოდნელი?***

– როგორც ჩანს, ოდნავ გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე და თავისთავად ლარი უფასურდება. როცა შესყიდვებია საჭირო და ლარის შევსება უნდათ, კურსი ქვევით მიდის. როცა დოლარის რეალიზაცია სჭირდებათ მაღალ ფასად, რაც ხდება, ესეც გასაგებია. ეს არის ჰაერიდან მიღებული ფული, რომელიც შემდეგ გარკვეული ინტერესების დასაკმაყოფილებლად, თუ გნებავთ, უცხოური ვალების გასასტუმრებლად გამოიყენება კერძო სექტორის მიერ და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ასეთი რყევა რომ განიცადოს ევრომ, დოლარმა ან ნებისმიერი ქვეყნის კურსმა, იმ ქვეყნის ეკონომიკა დაიქცევა.

***– ჩვენ რატომ არ ვიქცევით?***

– ბუნებრივი კითხვაა. ჩვენ უკვე დაქცეულები ვართ. ამიტომ, ასე იქნება თუ ისე, უკვე დაქცეულ ეკონომიკას ბევრი არაფერი ზიანი ადგება. ამიტომ უნდა დავლაგდეთ, რა გვინდა, როგორ შეიძლება რამის მიღწევა და ისე უნდა იმოქმედოს საზოგადოებამაც და ხელისუფლებამაც.

***– მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ბანკის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალი აქვს. ლარზე საპროცენტო განაკვეთი კიდევ გაიზარდა და მან 15%-ის ნაცვლად 17-18% შეადგინა. ეს გადაწყვეტილება კომერციულმა ბანკებმა მიიღეს?***

– ბანკი არის ერთადერთი ფინანსური სტრუქტურა დღეს, თუ არ ჩავთვლით არასაბანკო სექტორს, რომელიც ასევე ამ მახინჯი პოლიტიკის შედეგია. იმავე მიკროსაფინანსოებში საკმაოდ გაურკვეველი სიტუაციაა და განსაკუთრებით კერძო მსესხებლების ინსტიტუტი, რომელიც უზარმაზარი პროცენტებით ასესხებს ფულს იმ ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყოფნით თავიანთი ოფიციალური მონაცემები ბანკში სესხების ასაღებად, იმიტომ, რომ იქ საკმაოდ რთული პროცედურებია. ამიტომ, რა ხდება, იცით?!

***– რა ხდება?***

– ფული ცოტაა, ადამიანებს საჭიროებები უჩნდებათ, ქართველი მოსახლეობა დიდი შინაგანი მოთხოვნით არ გამოირჩევა, რომ წავიდეს და ვინმე მცოდნეს ჰკითხოს, კრედიტის აღების დროს როგორ უნდა იმოქმედოს. არ ხასიათდება ამით ჩვენი საზოგადოება, თვითონ წყვეტს ყველაფერს, ყველაფერი თვითონ იცის. ამიტომ შეცდომებით იღებენ კრედიტებს, რომლის გადახდის თავი არ შეიძლება ჰქონდეს ნორმალურ ქვეყანაში არანაირ მოქალაქეს. როცა წლიურ 60%-იან სესხს იღებ, უნდა იცოდე, რომ ამის გადახდა არ შეიძლება.

***– ამხელა პროცენტებია?***

– 60%-იანი და 80%-იანი სესხები საქართველოში არის უამრავი, კერძოდ კი კერძო სტრუქტურებიდან გასესხებული.

***– საუბარია ახალ რეგულაციებზე კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით, რომ ყველა ასე მარტივად ვეღარ შეძლებს კრედიტის აღებას. ხომ არ დაზარალდება ის კატეგორია, რომელსაც არ აქვს დასაბუთებული შემოსავალი?***

– დასაბუთებული შემოსავალი თუ არა გაქვს, ბანკი სესხს არ მოგცემს და არც რამე პრეტენზია ბანკის მიმართ არ შეიძლება იყოს. ძალიან მკაცრი უნდა იყოს კანონი. არის განვითარებული ქვეყნები, სადაც ბანკს არ შეუძლია, ერთი საცხოვრებელი თუ აქვს ადამიანს, ის ჩაიდოს იპოთეკურ უზრუნველყოფაში, იმიტომ, რომ თუ ვერ გადაიხადა, ქუჩაშია. ათიათასობით ადამიანი ქუჩაში დარჩა საქართველოში, იმიტომ, რომ აქ იდიოტური შეხედულებაა საბაზრო ეკონომიკაზე, რომ ბაზარი თვითონ არეგულირებს ყველაფერს. ეს სისულელე დღეს სერიოზულ ადამიანს არ ეკადრება, რომ თქვას.

***– შეზღუდვები შეცვლის რამეს, გამოასწორებს არსებულ სიტუაციას?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, რას გააკეთებს ეროვნული ბანკი. გითხრათ სიმართლე, დიდად არ მჯერა მისი გაკეთებული საქმეების.

# დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კონსტანტინე სულამანიძე, თანამდებობას ტოვებს



დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი კონსტანტინე სულამანიძე თანამდებობას ტოვებს. აღნიშნული ინფორმაცია „კომერსანტს“ ექსკლუზიურად თავად სულამანიძემ დაუდასტურა და განუცხადა, რომ წასვლაზე განცხადება უკვე დაწერა, დაკავებულ თანამდებობას კი ოფიციალურად 1 მაისიდან დატოვებს.

კითხვაზე, რა მიზეზით დატოვა მან დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანამდებობა და სად გააგრძელებს საქმიანობას, სულამანიძე აღნიშნავს, რომ ის კერძო საფინანსო-საკრედიტო სექტორში გადაინაცვლებს.

კონსტანტინე სულამანიძე დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს 2017 წლის 1 იანვრიდან ხელმძღვანელობდა.

მანამდე, 2015 წელს იყო საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის სააგენტოს უფროსი. 2009-2014 წ.წ. – „პროგრეს ბანკი“ გენერალური დირექტორი. 2008-2009 წ.წ. – „პროგრეს ბანკი“ ოპერაციული დირექტორი.

2005-2008 წ.წ. – „ბანკი რესპუბლიკა“, საკრედიტო ადმინისტრირების სამსახურის უფროსი, დაკრედიტების დირექტორი, კორპორატიული საბანკო მომსახურების დეპარტამენტის უფროსი და სტრატეგიული პროექტების მენეჯერი.

2002-2005 წ.წ. – „ვითიბი ბანკი“, ფილიალის მენეჯერი და საკრედიტო განყოფილების უფროსი.

# ჭიაბერაშვილი: „მცირე ბიზნესისთვის დღგ-ის ბრუნვის ზღვარი 200,000 ლარამდე უნდა გაიზარდოს“



ევროპულმა საქართველომ პარლამენტში მცირე ბიზნესისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების საკუთარი ვერსია წარადგინა.

– გაუარესებული ეკონომიკური გარემოთი დაზარალებულ მცირე და საშუალო ბიზნესს ვერ უშველის „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული საგადასახადო ცვლილება. აუცილებელია დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა 100,000 ლარიანი ზღვრიდან 200,000 ლარამდე გაიზარდოს. ამ ზღვრის აწევა მცირე ბიზნესისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, – აცხადებს პროექტის ერთ-ერთი ავტორი ევროპული საქართველოს წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ჭიაბერაშვილის თქმით, მთავრობას რომ მცირე ბიზნესისთვის რეალური შეღავათის მიცემა უნდოდეს, მაშინ მიკრობიზნესისთვის არსებულ შეღავათს – არ დაიბეგროს საერთოდ – გაავრცელებდა მცირე ბიზნესზე, როგორც ეს ევროპული საქართველოს საკანონმდებლო ინიციატივაშია მოცემული.

– იმ 1%-ის დატოვებით და არა განულებით, როგორც ამას ჩვენი ინიციატივა ითვალისწინებს, კვირიკაშვილი საგადასახადო ინსპექციას ისევ უტოვებს მცირე ბიზნესის შემოწმების ბერკეტს. ამ 1%-ით იმდენად მცირე თანხა შევა ბიუჯეტში, რომ მას ფისკალური ეფექტი არც აქვს. უბრალოდ, კვირიკაშვილს უნდა, მთავრობას დარჩეს ბიზნესის კონტროლის ეს მექანიზმი, – ამბობს ჭიაბერაშვილი.

ევროპული საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერის საკანონმდებლო პაკეტი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე, უმუშევრობის შემცირებასა და მოქალაქეთა შემოსავლების ზრდაზეა ორიენტირებული.

# „არაქართველი გიდები ტურისტებს საქართველოს ისტორიას დამახინჯებულად უყვებიან“

იმ ფონზე, როცა ტურისტების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება საქართველოში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროს შესაბამისი განვითარება და პროფესიონალი გიდების მომზადება. ტურიზმზე, ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, მისი განვითარებისთვის საჭირო რესურსებსა და გიდების მიერ საქართველოს ისტორიის დამახინჯებულად თხრობის ფაქტებზე ისაუბრა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „მოითხოვე ქართული“ „იბერია ტურს პლუსის“ დამფუძნებელმა მაია მურაჩაშვილმა.

– არაქართველი გიდები ტურისტებს საქართველოს ისტორიას დამახინჯებულად უყვებიან. არაბულენოვანი ერთ-ერთი ქართველი გიდი შეესწრო, როგორ უყვებოდა ჯვარზე აბსოლუტურად მცდარ, ტყუილ და ჩვენთვის დამამცირებელ ინფორმაციას ერთ-ერთი გიდი თავის ტურისტებს. გიდი არის შენი ქვეყნის ელჩი, ქვეყნის სახე. ტურისტის შთაბეჭდილებები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაანახებ შენს ქვეყანას, როგორ შეაყვარებ შენს ქვეყანას. გიდისგან მიყენებული ზარალი რთული აღმოსაფხვრელია, – განაცხადა მაიკო მურაჩაშვილმა.

„იბერია ტურს პლუსის“ დამფუძნებელი იმ ჩრდილოვან მხარეებზეც საუბრობს, რაც ტურიზმზე კონტროლის არქონას მოსდევს.

მაიკო მურაჩაშვილის თქმით, უცხოელ ტურისტებთან ერთად უცხოელი გიდების შემოდინებით, საქართველო შემოსავალს კარგავს. განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს თანხების გადინება მინიმალურამდე აქვთ დაყვანილი.

– საქართველოში არ წესდება არავითარი რეგულაციები ტურიზმის სფეროში. უცხოური ტურისტული კომპანიები ქართული ტურისტული კომპანიების გვერდის ავლით პირდაპირ შემოდიან საქართველოში და მომსახურებას იღებენ ადგილობრივი სასტუმროებისგან, შემოჰყავთ თავიანთი გიდები, ყიდულობენ ტრანსპორტს, ტურისტული პაკეტები კი თავიანთ ქვეყანაში გაყიდეს.

არავინ არ ჩამატარებინებს მე საფრანგეთში ტურს, მაგრამ ჩვენთან ამის საშუალება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ. ეკონომიკური უარყოფითი ეფექტი არის ის, რომ თანხების გადინება ხდება ქვეყნიდან. საქართველოში რჩება მხოლოდ ის მოგება, რომელიც სასტუმროს უნდა გადაუხადონ. არსებობენ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ამ თემაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ.



## თბილისის ზღვაზე მომხდარი ავარიის შედეგად არასრულწლოვანი გარდაიცვალა

თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არასრულწლოვანი გარდაიცვალა. შემთხვევა გვიან ღამით თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, მოპედი, რომელზეც ორი არასრულწლოვანი იჯდა, ავტომობილს შეეჯახა. ავარიის შედეგად ერთ-ერთი არასრულწლოვანი მძიმედ დაშავდა, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, გადაუდებელი ოპერაციის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## მუსიკოს კრის რის სახელის გამოყენებით დიდი ოდენობით ფულის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს

ცნობილი მუსიკოსის კრის რის სახელის გამოყენებით დიდი ოდენობის ფულის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ბრალდებულმა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმად, თითქოსდა მისი კომპანიის ორგანიზებით 2017 წლის 30 დეკემბერს თბილისში კონცერტს გამართავდა კრის რი.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, რეალიზებულ იქნა 2 727 ბილეთი, რომელთა ჯამური ღირებულება 152 850 ლარს შეადგენს.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ერთი კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველთან ერთად, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმად, თითქოსდა მისი კომპანიის ორგანიზებით, ქალაქ თბილისში, მსოფლიო ტურნეს ფარგლებში, კონცერტს გამართავდა ცნობილი მუსიკოსი კრის რი.

დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებისას, ბრალდებულმა, ფორმალურად გააფორმა ხელშეკრულებები ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზთან და ბილეთებით ონლაინ მოვაჭრე კომპანიასთან. მოქალაქეთა მოზიდვის მიზნით, მან ჩაატარა აქტიური პიარკამპანია კრის რის 2017 წლის 30 დეკემბერს ვითომდა დაგეგმილი კონცერტისთვის. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, რეალიზებულ იქნა 2 727 ბილეთი, რომელთა ჯამური ღირებულება 152 850 ლარს შეადგენს. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ კრის რის მსოფლიო ტურნე 2017 წლის 12 დეკემბერს, ინგლისში დასრულდა და საქართველოში კონცერტის გამართვა დაგეგმილი არ იყო.



საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. ამ ეტაპზე, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები დანაშაულში მონაწილე სხვა პირების გამოვლენა-მხილების მიზნით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## სოფელ ქვეშთან ე.წ. მესაზღვრეებმა ადგილობრივი სერგო დარბაიძე დააკავეს



საოკუპაციო ხაზთან, სოფელ ქვეშის განაპირას, ე.წ. მესაზღვრეებმა აღნიშნული სოფლის მცხოვრები სერგო დარბაიძე დააკავეს. 55 წლის სერგო დარბაიძე პირუტყვს მწყემსავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განუცხადეს, მამაკაცი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. მათი ინფორმაციით, მომხდარის შესახებ უკვე ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ამოქმედებულია ცხელი ხაზი.

## ზაზა სარალიძე: ექსპერტიზით ვერ დგინდება, საქმეში არსებული დანებიდან არის თუ არა ჩემი შვილისთვის მიყენებული მომაკვდინებელი ჭრილობა“

– ექსპერტიზით ვერ დგინდება, საქმეში არსებული დანებიდან არის თუ არა ჩემს შვილზე მომაკვდინებელი ჭრილობა მიყენებული.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის დროს ერთ-ერთი გარდაცვლილის მამამ ზაზა სარალიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ელოდება დაცვის მხარის მიერ მოწვეულ ექსპერტებს უცხოეთიდან, რომლებმაც უნდა გაარკვიონ მონაწილეობდა თუ არა მომხდარ მკვლელობაში საქმეში არსებული ორი დანის გარდა სხვა დანები.



– ექსპერტიზის დასკვნაში დაზუსტებით დადგენილი არ არის, რომელი იარაღი იყო გამოყენებული. ექსპერტები არ გამორიცხავენ ამ დანების მონაწილეობას დაჭრაში, მაგრამ არც ზუსტად ადასტურებენ, თუ რომელ ჭრილობაზე რომელი დანაა გამოყენებული. გარკვეულ ჭრილობებზე საქმეში არსებული დანებია მორგებული, მაგრამ არის ისეთი ჭრილობები, მაგალითად, ჩემს შვილზე, რომელიც მომაკვდინებელი იყო, რომელთა მიმართებაში ვერ დგინდება ამ დანებიდან არის თუ არა რომელიმე გამოყენებული. პროკურორმა განმარტა, რომ ექსპერტი ზუსტ დებულებას ვერ დადებს. თუ დებულება ვერ დადო, ექსპერტიზის ჩატარება რა საჭირო იყო, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე არსებითი განხილვის მორიგი სხდომა მიმდინარეობს. პროცესზე ირიბი მოწმეები იკითხებიან, რომლებიც მომხდარი შემთხვევის უშუალო თვითმხილველები არ არიან და აღწერენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. რაც შეეხება სამხარაულის ექსპერტებს, რომლებმაც კომპლექსური ექსპერტიზა ჩაატარეს, ისინი 28 აპრილს დაიკითხებიან.

ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 1-ლ დეკემბერს დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მეორე კი, ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

## უკრაინის პოლიციამ ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქე, ე.წ. კანონიერი ქურდი თენგიზ ჭარაია გააძევა



უკრაინის პოლიციამ ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქე, ე.წ. კანონიერი ქურდი თენგიზ ჭარაია („თენგო პიტერსკი“) გააძევა.

ამის შესახებ კიევის პოლიციის პრესსამსახური იუწყება.

35 წლის ჭარაია წარსულში მრავალჯერ არის ნასამართლევი. უკრაინაში ის 2017 წელსაც დააკავეს, რის შემდეგაც ქვეყანაში ჩასვლა აუკრძალეს. რამდენიმე კვირის წინ ის თურქეთიდან კიევში სხვა სახელზე გაცემული პასპორტით ჩაფრინდა, შემდეგ კი დნეპრში გაემგზავრა.

პოლიციის ინფორმაციით, უკრაინაში ის კრიმინალური სამყაროს სხვა წევრებს ხვდებოდა და გავლენის სფეროების გადანაწილებას ცდილობდა. კიევის პოლიციამ „თენგო პიტერსკი“ თურქეთში გააძევა.

## პროკურატურა ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე ბრალდებულებისთვის პატიმრობას ითხოვს

პროკურატურა ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე ბრალდებულებისთვის პატიმრობას ითხოვს.

ამის შესახებ მთავარი პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი.

უწყების ინფორმაციით, საქმე ეხება 16 აპრილს ქალაქ გურჯაანში, სლოტ კლუბში მომხდარ შემთხვევას.

– გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ სასამართლო განჩინების საფუძველზე, ჯგუფურად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე დაკავებულებს დ.ა.-ს და შ.ე.-ს წარუდგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 16 აპრილს, გურჯაანში, შპს „ვეგას“ სლოტ კლუბის შიდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დ.ა.-მ და შ.ე.-მ სლოტ კლუბში მომხდარი შელაპარაკებისას, სახის და თავის არეში მუშტის მრავალჯერადი დარტყმით, სიცოცხლისთვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენეს ვ.მ.-ს, რომელიც ამჟამად იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში კომატოზურ მდგომარეობაში.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან ათ წლამდე ვადით ითვალისწინებს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

## შიდა ქართლში უკანონო სახერხი დანადგარები ამოიღეს



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო სახერხი დანადგარების ფუნქციონირებისა და ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ზედამხედველობის სამსახურიდან აცნობეს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს მიმდებარედ დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე.წ. ლენტური ტიპის სახერხი დანადგარის უძრავი ნაწილის – ლიანდაგის დემონტაჟი განახორციელეს.

– მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო უკანონოდ მოპოვებული 3 მ3 წიწვოვანი სახეობის პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ფიცარი და ფიჭვის სახეობის 6 ერთეული დაუფირნიშებელი მორი. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში კი უკანონო სახერხი საამქრო გამოვლინდა, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებული იყო 32 ერთეული უკანონოდ მოპოვებული ფიჭვის სახეობის სამასალე მორი. ასევე ფიჭვის სახეობის 26 ერთეული დაუფირნიშებელი სამასალე მორი კი ეზოში გაჩერებული ავტომანქანის ძარაზე იყო განთავსებული ტრანსპორტირების მიზნით.

სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის, ხე-ტყის პირველადი გადამუშავებისა და ტრანსპორტირების მოთხოვნათა დარღვევების გამო, რაც, ჯამში, 5.000 ლარის ოდენობის საჯარიმო სანქციას ითვალისწინებს.

სახერხი დანადგარი დაილუქა. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნება, – ნათქვამია ზედამხედველობის სამსახურის განცხადებაში.

## ახალციხეში ავტომობილი დაიწვა




ახალციხეში მსუბუქი ავტომობილი დაიწვა. როგორც მეპატრონე აცხადებს, მანქანას ცეცხლი განზრახ წაუკიდეს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. ავტომობილს ექსპერტიზა უტარდება.

## კახეთში პოლიციელს თავს დაესხნენ და დაჭრეს

კახეთში პოლიციელი დაჭრეს. „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, დაჭრილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის რაიონული სამმართველოს უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელი გიორგი ქანდაურიშვილი. მას ცივი იარაღით მიყენებული 2 ჭრილობა აღენიშნება.

შემთხვევა 24 აპრილს მოხდა. პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით 22 წლის მამაკაცი უკვე დააკავეს.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიციელმა მოქალაქეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა.

არსებული ინფორმაციით, 22 წლის გიორგი მოლაშვილს დაჭრილ პოლიციელთან უთანხმოება ადრეც ჰქონდა, რის გამოც ის ამ დრომდე პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ მოლაშვილის დაკავების შემდეგ, საღამოს, დაკავებული გ.მ.-ს ძმა -ა.მ., თანასოფლელებთან ერთად, პოლიციის შენობასთან მივიდა, უცენზურო სიტყვებით საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდა და ძმის გათავისუფლებას ითხოვდა.

საბოლოოდ სამართალდამცველებმა ა.მ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით ადგილზე დააკავეს. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ კი ის 400 ლარით დააჯარიმა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმას გულისხმობს.

## მურთაზ ზოდელავა პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს



ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა მთავარ პროკურატურაში ტელეკომპანია „იმედის“ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხება.

ზოდელავა გამოკითხვაზე 27 აპრილს, 13:00 საათზეა დაბარებული.

# ნიკოლ პაშინიანი სომხეთის პრემიეროზის კანდიდატად წამოაყენეს

ოპოზიციურმა პარტია „ელკმა“ თავისი ლიდერი და საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ნიკოლ პაშინიანი პრემიერობის კანდიდატად წამოაყენა. „ელკს“ მხარი მეორე ოპოზიციურმა პარტია „ცარუკიანმა“ დაუჭირა. ამავე დროს, „ელკს“ პარლამენტში მხოლოდ 8 დეპუტატი ჰყავს, „ცარუკიანის პარტიას“ – 31. პრემიერად დამტკიცებისათვის პაშინიანს მინიმუმ 52 ხმა სჭირდება.



სომხეთის ოპოზიციის ლიდერმაც ხალხს საპროტესტო აქციების განახლებისაკენ მოუწოდა. 25 აპრილს ერევნის ცენტრში საპროტესტო აქციები განახლდა. ამას მმართველი კოალიციის (რესპუბლიკური პარტია და დაშნაკცუტუნი) დაშლაც დაემთხვა. დაშნაკცუტუნი მმართველი კოალიციიდან გავიდა. თავის მხრივ, პაშინიანმა სომხეთის პრემიერობის მოვალეობის ამჟამინდელ შემსრულებელ კარაპეტიანთან მოლაპარაკებებზე უარი განაცხადა.

– აუცილებელია ვადამდელი არჩევნების ჩატარება. საამისოდ კი ახალი საარჩევნო კანონის მიღებაა საჭირო. ხროვა, რომელიც სომხეთს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მართავდა, უნდა წავიდეს! გარდამავალ ეტაპზე დროებითი მთავრობის შექმნაა აუცილებელი! ამ მთავრობას კი სახალხო პრემიერი უნდა ჩაუდგეს სათავეში, – თქვა პაშინიანმა.

ოპოზიცია ასეთ კანდიდატად პაშინიანს მოიაზრებს. რადგან ოპოზიციას პარლამენტში საკმარის ხმები არ აქვს, მან კვლავ ქუჩის აქციებს მიმართა.

# ემანუილ მაკრონი: „აშშ-მ და ევროპამ 21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგი ერთად უნდა შექმნან!“

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აშშ-ის კონგრესში სიტყვით გამოვიდა.

მაკრონმა ხაზი გაუსვა იმ მეგობრობას, რომელიც წლების განმავლობაში აშშ-სა და საფრანგეთს აკავშირებდა.

– ფაშიზმის წინააღმდეგ ერთად ვიბრძოდით, ცივ ომშიც ერთად ვიყავით. ახლაც თანამედროვე გამწვავების წინაშე ერთად უნდა ვიდგეთ, – თქვა მაკრონმა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ არ უნდა გამოვიდეს ირანთან ბირთვული შეთანხმებიდან, რადგანაც ამით ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევის ალბათობა იზრდება.

– ირანს ბირთვული იარაღი არც ახლა, არც ათი წლის შემდეგ, არც არასოდეს არ უნდა ჰქონდეს, – ამბობს მაკრონი.

საფრანგეთს პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ მეორე ცივი ომი უკვე დაიწყო. მსოფლიო წესრიგი, რომელიც 1991 წლის შემდეგ შეიქმნა, აღარ არსებობს. 21-ე საუკუნეში უნდა შეიქმნას ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის საფუძველიც იქნება ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, პლურალიზმი, ეთნორელიგიური შემწყნარებლობა.

– ეს წესრიგი აშშ-მ და ევროპამ ერთად უნდა შექმნან, – ამბობს მაკრონი.



# ავიგდორ ლიბერმანი: „თუ ირანი თელ-ავივს დაარტყამს, ისრაელი თეირანს დაარტყამს“



ისრაელის თავდაცვის მინისტრ ავიგდორ ლიბერმანის განცხადებით, ისრაელი ირანისგან მომავალ ნებისმიერ საფრთხეს უპასუხებს.

– თუ ირანი თელ-ავივს დაარტყამს, ისრაელი თეირანს დაარტყამს და სირიაში ირანის ნებისმიერ სამხედრო ობიექტს გაანადგურებს, რომელიც ისრაელს ემუქრება, – განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა.

ავიგდორ ლიბერმანის განცხადებით, „ისრაელი არ არის დაინტერესებული ომით, თუმცა ნებისმიერ ფასს გადაიხდის, რათა ირანის სირიაში ყოფნა თავიდან აიცილოს“.

მან ასევე აღნიშნა, რომ ისრაელი არაბულ ქვეყნებთან არის დიალოგში ჩართული, თუმცა არ დააკონკრეტა, რომელ ქვეყნებზეა საუბარი.

– ეს დიალოგი სწორი მიმართულებით მიმდინარეობს. საკითხების 75%-ზე ურთიერთგაგება გვაქვს. რეგიონულ საკითხებში კონსტრუქციული დიალოგი და სრული ურთიერთგაგება გაგვაჩნია, – აღნიშნა ლიბერმანმა.

# იულია ტიმოშენკო საპრეზიდენტო რეიტინგში ლიდერობს

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო საპრეზიდენტო რეიტინგში ლიდერობს, – აღნიშნულს ცხადყოფს სოციოლოგიური ჯგუფის, „რეიტინგის“, მიერ ჩატარებული გამოკითხვა.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 14% საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმას იულია ტიმოშენკოს მისცემს, 11% მხარს უჭერს თავდაცვის ყოფილ მინისტრ ანატოლი გრიცენკოს, ხოლო მოქმედ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ხმას რესპონდენტთა 9% აძლევს.

გამოკითხვის ორგანიზატორების შეფასებით, აღნიშნული შედეგები ცხადყოფს, რომ 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვებული მხოლოდ მეორე ტურში გამოვლინდება. გამოკითხვაში მონაწილეობა 6.000 ადამიანმა მიიღო და ის 10 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით ჩატარდა.

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები 2019 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# ინდოელს თავიდან მოტოციკლის გასაღები ამოაძვრეს

ინდოეთის მახარაშტრას შტატის 19 წლის მცხოვრებს მოტოციკლის გასაღები თავიდან ამოაძვრეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.



ახალგაზრდა მამაკაცმა თავის ტრავმა ჩხუბის დროს მიიღო. როდესაც ის საავადმყოფოში მიიყვანეს, მისი თავის ზემოდან მხოლოდ გასაღების თავი მოჩანდა, ხოლო მისმა წვერმა თავის ქალა ჩაამტვრია და სიღრმეში ხუთ სანტიმეტრზე შეაღწია.

გამოკვლევის შემდეგ ინდოელს კრანიოტომია გაუკეთეს.

– ოპერაცია დაახლოებით სამსაათ-ნახევარი გაგრძელდა, – განაცხადა ნეიროქირურგმა შაილენდრა უტამრაო მარკადმა, – იმისთვის, რომ გასაღები ამოგვეღო, თავის ქალის ნაწილის გახსნა დაგვჭირდა.

ექიმების თქმით, ტრავმას შიდა სისხლდენა რომ გამოეწვია, პაციენტი შესაძლოა დაღუპულიყო.

ახალგაზრდა მამაკაცი სამი დღის შემდეგ საავადმყოფოდან გაეწერა.

– ის სრულიად გამოჯანმრთელდა და ყველაფერი წესრიგშია, – განაცხადა მარკადმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შეისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ბითაძე დრაფტამდე ყურადღების ცენტრში ექცევა



შეგახსენებთ, რომ ნბა-ს დრაფტზე 18 წლის გოგა ბითაძე დადგება, რომელიც ფანტასტიკურად თამაშობს სერბეთის სუპერლიგაში. დრაფტი 21 ივნისს ბრუკლინში გაიმართება.

ნბა-ს სადრაფტო ამბების ყველაზე პოპულარული ვებგვერდი ბითაძეს 50-ე ნომრად არჩევას უწინასწარმეტყველებს. თუმცა, განსხვავებულ პოზიციას იზიარებენ სხვა ვებგვერდები.

მაგალითად, სპორტ ილუსტრეიდმა 2018 წლის დრაფტის ტოპ-100 ტალანტი ჩამოწერა, სადაც ბითაძეს 64-ე პოზიცია მიანიჭა.

– 18 წლის ბითაძე ძლიერი აღნაგობისა და მობილურობის წყალობით მეგა ბიმაქსის ეფექტურ კალათბურთელად იქცა, ეს გუნდი კი ასოციაციას ხშირად ამარაგებს ტალანტებით. ბითაძე განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა მოხსნებსა და დაფარებებში, გაცილებით ნელ „მაღლებთან“ ორთაბრძოლაში კი მას უპირატესობა აქვს. საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდი კარგი სროლითაც გამოირჩევა. ბითაძეს ნბა-ში თავის გამოსაჩენად დრო დასჭირდება, მაგრამ ასეთი ფიზიკური მონაცემებითა და განვითარების ტემპით, ბითაძე დამაინტრიგებელი არჩევანი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში, თუკი ის დრაფტზე დარჩენას გადაწყვეტს.

# თსუ-ჰიუნდაი სუპერლიგის საგზურის მფლობელია

**ტიტები-თსუ-ჰიუნდაი 60:68**

**(19:20, 19:10, 11:19, 11:19)**



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალური სერიის მე-4 მატჩში 68:60 დაამარცხა ტიტები და ა ლიგის გამარჯვებული გახდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ გაერთიანებულმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში მოახერხა გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება და 2018-19 წლების სეზონში სუპერლიგაში ითამაშებს.

ფინალში დამარცხებულ ტიტებს სუპერლიგაში გადასვლის შანსი რჩება. დავით უსტიაშვილისა და დავით არწივიძის გაწვრთნილი გუნდი საკვალიფიკაციო სერიაში სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის ბოლოადგილოსან სოხუმს დაუპირისპირდება. სერია 2 მოგებამდე გაგრძელდება და მატჩები 3 და 5 მაისს გაიმართება.

რაც შეეხება ა ლიგის ფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩს, ძალიან დაძაბული გამოდგა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ვერც ერთი გუნდი სოლიდურად დაწინაურებას ვერ ახერხებდა, სანამ ბოლო წუთებზე მჭიდრო დაცვისა და შედეგიანი კონტრშეტევების შემდეგ თსუ-ჰიუნდაიმ ხელჩასაჭიდი ლიდერობა არ მოიპოვა. ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში სუპერლიგის საგზურის მომავალმა მფლობელებმა დამაჯერებლად, უშეცდომოდ ითამაშეს და საბოლოოდ 8 ქულის სხვაობით – 68:60 გაიმარჯვეს.

თსუ-ჰიუნდაიში 24 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო სტანოიე კნეჟევიჩი. 18 ქულა მოაგროვა სანდრო სანაძემ, ხოლო დენიელ უილიამსის ანგარიშზე 10 ქულა დაგროვდა. გამარჯვებაში 11 მოხსნით, 7 შედეგიანი გადაცემითა და 4 ქულით სოლიდური წილი დაიდო კრისტოფერ ანდერსონმა. ტიტებში 19 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო რაშად რენსომი, ანტუან სპეისმა 17 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

თსუ-ჰიუნდაის წევრები სუპერლიგაში გადასვლის ნიშნად სპეციალური მედალიონებით კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა და გამგეობის წევრმა, ვლადიმერ ძიძიგურმა დააჯილდოვეს. გამარჯვებული გუნდისთვის განკუთვნილი ა ლიგის საჩემპიონო დაფა თსუ-ჰიუნდაელთა კაპიტან დავით აფხაზავას გადაეცა.

# მონჩი: „იძულებული ვიყავით, სალაჰი გაგვეყიდა“



ბოლო დროს ძალიან ბევრს საუბრობენ ლივერპულის ეგვიპტელ თავდამსხმელ მოჰამედ სალაჰზე. განსაკუთრებით რომას ხელმძღვანელობას აკრიტიკებენ, რომელმაც, ფაქტობრივად, ფეხბურთელი საჩუქრად გაატანა ლივერპულს.

ამის შედეგად რომას ესპანელი სპორტული დირექტორი მონჩი სალაჰის ტრანსფერზე ალაპარაკდა.

სალაჰი სეზონის სტარტზე ლივერპულმა რომადან 36.9 ევროდ მილიონად შეიძინა. მონჩის მისამართით დასმულ კითხვებს, თუ რატომ გაყიდა სალაჰი რომამა ასე იაფად, ესპანელი პასუხობს:

– უეფას ფინანსურმა ფეირფლეიმ გვაიძულა სალაჰის გაყიდვა. ეს რომ არ გაგვეკეთებინა, დღეს აქ არ ვიქნებოდით. 30 ივნისამდე უნდა გაგვეყიდა, რომ რეგულაციით მოთხოვნადი ფინანსური ბალანსი დაგვეცვა. სალაჰში ბონუსებიანად 50 მილიონი ევრო მივიღეთ. ეს საუკეთესო გამოსავალი იყო ჩვენთვის. მოს წასვლა უნდოდა, მაგრამ, რომ არა უეფას რეგულაციები, მას აუცილებლად შევინარჩუნებდით.

შეგახსენებთ, რომ უეფას ფინანსური ფერი-პლეი უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილე კლუბებს მოუწოდებს, იმაზე მეტი არ დახარჯონ, რასაც მარკეტზე გამოიმუშავებენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ქუთაისმა რეგულარული სეზონი მოიგო

**ქუთაისი-ოლიმპი 86:67**

**(21:17, 20:11, 24:15, 21:24)**



სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის პირველადგილოსანი ცნობილია. ქუთაისმა თბილისის ოლიმპს უმასპინძლა, 86:67 დაამარცხა და ცხრილში პირველი ადგილი გაინაღდა.

იმერულ კლუბს ოლიმპელთა ძლევის შემდეგ 22 მოგების წილ 9 მარცხი მოუგროვდა და, დარჩენილ 1 შეხვედრაში ნებისმიერი შედეგის დაფიქსირების მიუხედავად, პირველ ადგილს დაიკავებს. თეორიულად, ქუთაისელთა დაწევა მხოლოდ კაქტუსს შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ქულებით. იმერულმა კლუბმა ბოლო ტურში რომ წააგოს და კაქტუსელებმა დარჩენილი ორივე შეხვედრა მოიგონ, ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა ქუთაისს მიენიჭება, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატის 4 მატჩიდან კაქტუსელებს 3 მოუგო.

ქუთაისელებს გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებიათ. მხოლოდ პირველ პერიოდში იყო მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა – ათწუთეული მასპინძლებმა 21:17 მოიგეს. მეორე მეოთხედიდან კი იმერულმა გუნდმა თამაშზე სრული კონტროლი დაამყარა და ათწუთეულის 20:11 მოგებით დიდ შესვენებაზე 13-ქულიანი ლიდერობით გავიდა. მესამე პერიოდის საწყის წუთებზე მასპინძელთა უპირატესობამ 19 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც ვითარება აღარ შეცვლილა. ქუთაისელებმა მოპოვებული ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნეს და საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

ქუთაისის შემადგენლობაში 27 ქულით საუკეთესო გახდა ჯონათან ლი. 14 ქულითა და 9 მოხსნით ბექა ბექაური გამოირჩა. 11 ქულა დაგროვდა დეჟუან რაიტის ანგარიშზე. ოლიმპში 14 ქულით ბომბარდირი გახდა მიხეილ ჭოჭუა. მორის ჰილმა 13 ქულა დააგროვა.

**დელტა-დინამო 67:90**

**(18:18, 13:27, 25:25, 11:20)**

მარნეულის დელტამ თბილისის დინამოს უმასპინძლა და წინააღმდეგობა ვერ გაუწია – 67:90.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქვემოქართლური გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. დელტამ თემურ კანკიას გარეშე ითამაშა, რომლის ასისტენტის, ბექა ქარციძის განცხადებით, გუნდში გარკვეული სახის პრობლემებია. მთავარი მწვრთნელის გარდა მარნეულელებს დისკვალიფიცირებული ლევან ფაცაცია აკლიათ და ისეთი მებრძოლი ხასიათი ვერ გამოავლინეს, როგორც დინამოსთან წინა მატჩებში. აღსანიშნავია, რომ ქვემოქართლელებმა მოქმედ ჩემპიონს რეგულარული ჩემპიონატის წინა 2 შეხვედრა მოუგეს – 100:92 და 77:75.

მატჩში თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ პერიოდში შედგა, რომელიც 18:18 დასრულდა. მეორე მეოთხედი დინამოელებმა 27:13 მოიგეს, 14 ქულით დაწინაურდნენ და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. საბოლოოდ ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამომ იოლად იმარჯვა და და მეორე ადგილზე გამაგრდა.

თბილისელებს 20 ქულით და 9 მოხსნით კაელ ტურპინმა ულიდერა. 11 ქულა და 16 მოხსნა დააგროვა ილია ლონდარიძემ, ხოლო ლაველ ბოიდმა პირად ანგარიშზე 17 ქულა ჩაიწერა. დელტაში 21 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო არტიომ შვეცი, 16 ქულით დაასრულა შეხვედრა ზვიად ანთაძემ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 30 | 21 | 9 | 2563:2277 | 51 |
| 2.დინამო | 31 | 20 | 11 | 2578:2362 | 51 |
| 3.კაქტუსი | 30 | 20 | 10 | 2497:2423 | 50 |
| 4.რუსთავი | 30 | 19 | 11 | 2475:2339 | 49 |
| 5.ბათუმი | 31 | 17 | 14 | 2394:2260 | 48 |
| 6.ოლიმპი | 30 | 16 | 14 | 2333:2255 | 46 |
| 7.მგზავრები | 30 | 13 | 17 | 2357:2501 | 43 |
| 8.დელტა | 31 | 10 | 21 | 2510:2642 | 41 |
| 9.სოხუმი | 31 | 1 | 30 | 2275:2923 | 32 |

# რეალი ბავარიიდან უპირატესობით ბრუნდება



**ბაიერნი-რეალი 1:2**

**მიუნხენი. ალიანს არენა**

**1:0 კიმიხი (28), 1:1 მარსელო (44), 1:2 ასენსიო (57)**

**ბაიერნი:** ულრაიხი, კიმიხი, ჰუმელსი, ბოატენგი (ზულე 34), რაფინია, მარტინესი (ტოლისო 75), რობენი (ალკანტარა 8), ხამესი, მიულერი, რიბერი, ლევანდოვსკი

**რეალი:** ნავასი, კარვახალი (ბენზემა 67), ვარანი, რამოსი, მარსელო, კროოსი, კაზემირო (კოვაჩიჩი 83), მოდრიჩი, ისკო (ასენსიო 46), ლუკას ვასკესი, რონალდუ

მატჩს არ გავუწბილებივართ. დაძაბული, საინტერესო მომენტებითა და ალაგ-ალაგ ალოგიკური სიუჟეტებით წარიმართა. ალოგიკური უფრო იმიტომ, რომ სამივე გოლი კონტრშეტევისას გავიდა – უტევდა ერთი, თითქოს უნდა გაეტანა და მიიღო.

მასპინძლებმა ანგარიში ტაიმის შუაში გახსნეს: რამდენიმე წუთი თავის ნახევარზე გაატარეს და მოულოდნელად ჯოშუა კიმიხი შეტევაზე გადაიყვანეს, რომელმაც ჩინებულად შეასრულა თავისი საქმე. თუმცა, რეალმა შესვენებამდე მოასწრო გათანაბრება.

მანამდე კი ბაიერნმა რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენა. მიუნხენელებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ მათ ნაცვლად მარსელომ გაიტანა.

მე-2 ტაიმის დებიუტში რეალმა მე-2 გოლი გაიტანა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში. მადრიდელებმა ამჯერადაც კონტრშეტევაზე დაიჭირეს მეტოქე – გოლი მარკუს ასენსიოს ანგარიშზეა.

დარჩენილ დროში იუპ ჰაინკესის შეგირდებს შეეძლოთ გაქცეოდნენ მარცხს, ჰქონდათ რამდენიმე კარგი შანსი. რობერტ ლევანდოვსკიმ თავადაც ვერ გაიტანა და ერთ მომენტში თომას მიულერსაც შეუშალა ხელი.

ახლა ბაიერნი რთულ სიტუაციაშია, პლუს ტრავმებმა შეაწუხა. თუმცა, გასულ წელსაც ასე იყო – მიუნხენელებმა შინ 1:2 წააგეს რეალთან, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მადრიდში უკეთ ეთამაშა და თამაში დამატებით დროში გადაეყვანათ. ასე რომ, მატჩში ინტრიგა ჯერ კიდევ არის...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – კეილორ ნავასი

რთულია ვინმეს კონკრეტულად გამოყოფა. რეალმა გუნდური თამაშის წყალობით მოიგო. მართალია, ნავასს კიმიხის გოლის დროს მთლად დამაჯერებლად არ უთამაშია, მაგრამ სხვა ეპიზოდებში აშკარად კარგად გაისარჯა, რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი გაშვებული გოლისგან და თავისი დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში.

**იუპ ჰაინკესი:**

– ჩვენ რეალს 2 გოლი ვაჩუქეთ და ასევე საკუთარი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. რა არ გვეყო? ჩვენ ვერ გავიტანეთ მეორე გოლი და დავკარგეთ რობენი და ბოატენგი. ეს ძალიან დიდი პრობლემა იყო. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე ძალიან მძიმე შეცდომის შემდეგ გავუშვით გოლი. ვქმნიდით ბევრ ბრწყინვალე მომენტებს, თუმცა მათ რეალიზებას ვერ ვახდენდით. ჩვენ ხელებს არ ჩამოვუშვებთ, წინ კიდევ 90 წუთია.

**ზინედინ ზიდანი:**

– ჩვენ ძალიან კარგ შედეგს მივაღწიეთ. ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. ისკოს დაკარვა გუნდს პრობლემებს უქმნიდა, თუმცა ასენსიო ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში, ჩვენ მოხარულნი ვართ. ისკოს მხართან დაკავშირებული პრობლემა აქვს, ვიმედოვნებ, რომ სერიოზული არაფერია. ასენსიოს თამაში ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, ის ყოველთვის ქმნის მომენტებს. მისი დარტყმული ბურთები უმეტეს შემთხვევაში ზუსტი და ძლიერია. მან მთელი მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა. ლუკას ვასკესმაც ბრწყინვალედ ითამაშა. მან ბევრი იმუშავა მარჯვენა ფლანგზე როგორც შეტევაში, ისევე დაცვაში. მას რიბერის აყვანაც უწევდა.

# შედეგები

**25 აპრილი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბაიერნი-რეალი ............................ 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

კაენი-ტულუზა ............................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 28 | 3 | 2 | 103-23 | 87 |
| 2.მონაკო | 34 | 21 | 7 | 6 | 79-44 | 70 |
| 3.ლიონი | 34 | 20 | 9 | 5 | 77-38 | 69 |
| 4.მარსელი | 34 | 20 | 9 | 5 | 72-41 | 69 |
| 5.რენი | 34 | 13 | 9 | 12 | 43-41 | 48 |
| 6.ნიცა | 33 | 13 | 8 | 12 | 44-45 | 47 |
| 7.მონპელიე | 33 | 10 | 16 | 7 | 32-29 | 46 |
| 8.ნანტი | 34 | 12 | 10 | 12 | 33-37 | 46 |
| 9.სტ.ეტიენი | 33 | 12 | 10 | 11 | 38-45 | 46 |
| 10.გენგამი | 34 | 12 | 9 | 13 | 41-49 | 45 |
| 11.ბორდო | 33 | 12 | 7 | 14 | 39-43 | 43 |
| 12.დიჟონი | 34 | 11 | 9 | 14 | 48-66 | 42 |
| 13.ამიენი | 34 | 11 | 7 | 16 | 32-38 | 40 |
| 14.ანჟე | 34 | 8 | 13 | 13 | 38-46 | 37 |
| 15.კაენი | 34 | 10 | 7 | 17 | 24-43 | 37 |
| 18.ტულუზა | 34 | 8 | 10 | 16 | 31-44 | 34 |
| 17.სტრასბური | 34 | 8 | 10 | 16 | 39-61 | 34 |
| 18.ტრუა | 33 | 8 | 5 | 20 | 27-49 | 29 |
| 19.ლილი | 34 | 7 | 8 | 19 | 33-58 | 29 |
| 20.მეცი | 34 | 6 | 8 | 20 | 32-65 | 26 |

# დინამო ნახევარფინალში ჩხუბით გავიდა



გრძელდება ვიტალი დარასელიას თასის გათამაშება 15 წლამდელთა შორის.

### დინამო (თბ)-ჯენოა 2:0

პირველ მატჩებში ორივე გუნდმა იმარჯვა და მათ შორის მოგებული ჯგუფში პირველადგილოსანს გაარკვევდა.

თამაში მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე ზურაბ ერაძემ ზუსტი თავურით გახსნა ანგარიში. დინამოელებმა უმატეს შეტევებს და მე-10 წუთზე მეორე გოლიც გაუტანეს სტუმრებს. ზუსტი დარტყმა გიორგი აბუაშვილმა განახორციელა. თბილისელებმა კომფორტული უპირატესობა მოიპოვეს და ტემპი უფრო დაამშვიდეს. მთელი პირველი ტაიმი სათამაშო ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ, იტალიელები კი ცდილობდნენ სახიფათო შეტევის განხორციელებას, თუმცა რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არც მისულა.

დინამოელებს კი უპირატესობა არც მეორე ტაიმში გაუშვიათ ხელიდან და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს. საბოლოოდ ვახტანგ იაგორაშვილის გუნდმა 2:0 იმარჯვა და ჯგუფში პირველი ადგილთან ერთად ნახევარფინალის საგზურიც გაინაღდა.

ძალიან უსიამოვნო ფაქტიც დაფიქსირდა ამ შეხვედრაში: 68-ე წუთზე მოედანზე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც ორივე გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელი მონაწილეობდა. მსაჯმა მასპინძელთა 2 და სტუმართა 3 მოთამაშე გააძევა. აქ გულდასაწყვეტი უფრო ის ფაქტია, რომ ეს მოხდა 15 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს შორის.

### დინამო (მნ)-ვიტესი 3:2

საკმაოდ საინტერესო და თვალსასეირო მატჩი გაიმართა. ორივე გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში შეტევაზე იყო ორიენტირებული და სანახაობაც გამოვიდა.

ანგარიში მატჩის 25-ე წუთზე ანტონ საკოვსკიმ გახსნა, თუმცა მანამდე აღსანიშნავია, რომ მსაჯმა ალექსეი ფირსოვი გააძევა, ჰოლანდიელებმა კი პენალტის შედეგიანად გამოყენება ვერ შეძლეს, ბურთი ტიმოფეი იურასოვმა მოიგერია.

მეორე ტაიმში 10 კაცით დარჩენილმა მინსკელებმა კიდევ ერთი გოლი გაუტანეს ვიტესს, თავი დმიტრი ლატიხოვმა გამოიჩინა. ამის შემდეგ ჰოლანდიელებს ლაურენტიუს სვინკელსი გაუძევეს, რამაც მათ მოტივაცია გაუორმაგა და ბელარუსებს 2 გოლი გაუტანეს. მე-60 წუთზე გოლი კლაუდიუს შტეფენმა გაიტანა, ხუთიოდე წუთში კი ერაი სიურულმა იყოჩაღა.

შეხვედრის ბოლო წუთზე მინსკელებმა იძალეს და ვლადისლავ ლოჟკინის გოლით 3:2 იმარჯვეს.

### სფფ-ს აკადემია-დინამო (კ) 1:3

პირველ დღეს ორივე გუნდმა მარცხი იწვნია და ერთმანეთში ქულების მხრივ ორივე გუნდისთვის პრინციპულ ხასიათს ატარებდა. თამაში სფფ-ს გუნდმა საკმაოდ აქტიურად დაიწყო და მიჯრით რამდენიმე მწვავე შეტევას ლუკა მაყაშვილის გოლიც მიაყოლა. თუმცა, ტაიმის ბოლომდე კიეველებმა თანაფარდობის აღდგენა მოახერხეს. გოლი რუსლან ბერეზანსკიმ გაიტანა.

მეორე ტაიმში დინამოს ფეხბურთელებმა უფრო უმატეს ტემპს და მორიგ შეტევას გიორგი გრიგალაშვილის ავტოგოლი მოჰყვა. უკრაინელებმ მალე მესამე გოლიც გაიტანეს, თავი ივან ვიდოსევიჩმა გამოიჩინა და შეხვედრაც კიევის დინამოს გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

### ესპანიოლი-სპარტაკი 3:1

მატჩი ესპანიოლის უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. პირველ ტაიმში ერიკ კუენკამ გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში კი ბუბაქარ კონატემ ორამდე გაზარდა კატალონიელთა უპირატესობა.

აქ უკვე სპარტაკმაც შეუტია და ერთ გოლსაც გამორჩა – თავი დიმიტრი ზავოლკინმა გამოიჩინა, თუმცა ესპანიოლმა კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე და ალეხანდრო ჟისპერმა საბოლოო ანგარიში 3:1 დააფიქსირა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ავღანელი გოგონა 10 წელი თავს ბიჭად ასაღებდა



ავღანელი გოგონა სიტარე ვაფადარი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იძულებული იყო, მშობლების სურვილით თავი ბიჭად გაესაღებინა.

18 წლის ვადაფარს, რომელიც ნანგარხარის პროვინციის ერთ-ერთი სოფლიდანაა, ექვსი და ჰყავს და არც ერთი ძმა, ამიტომ მშობლებმა გადაწყვიტეს, ის ბაჩაპოშად ექციათ, ანუ გოგონად, რომელიც მამაკაცის ჩასაცმელს ატარებს და მის მოვალეობებსაც ასრულებს. გოგონას არ ევალებოდა სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება, სამაგიეროდ, რვა წლის ასაკიდან ის კვირაში ექვსი დღე მამასთან ერთად აგურის მწარმოებელ ქარხანაში მუშაობდა.

– მე არც არასოდეს მიფიქრია, რომ გოგონა ვიყავი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ვადაფარმა. მისი თქმით, ქარხნის თანამშრომლების დიდმა უმრავლესობამ არ იცის, რომ ის გოგონაა და საკუთარ სქესს მალავს იმისთვის, რომ არ მოიტაცონ.

ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, საქორწინო ასაკის მიღწევის შემდეგ ვადაფარს უფლება აქვს, უარი თქვას ბიჭის მოვალეობის შესრულებაზე, თუმცა ამის ამის გაკეთება არ სურს, რათა მისი ბედი მისმა უმცროსმა 13 წლის დამ არ გაიზიაროს.

# ამერიკელი ფეხით მოსიარულეებს იმისთვის დაეჯახა, რომ სამსახური გაეცდინა



აშშ-ის მცხოვრები ელი ალდინგერი მანქანით რამდენიმე ადამიანს იმისთვის დაეჯახა, რომ სამსახურში არ გამოცხადებულიყო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ახალი ამბების პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბოტელში მოხდა. 22 წლის სამსახურში მანქანით მიმავალი მძღოლი ორ ქალს დაეჯახა და კიდევ ერთი გამვლელისთვის დაჯახებას აპირებდა, მაგრამ მან დაჯახების თავიდან არიდება მოახერხა. ერთ-ერთი დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, მეორეს კი დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს.

დაკავების შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცმა პოლიციელებთან აღიარა, რომ ნებისმიერ რამეს ჩაიდენდა იმისთვის, რათა სკოლაში, სამსახურში, რომელსაც ვერ იტანდა, არ მისულიყო.

– ჩემს ცხოვრებაში რაღაც უნდა შემეცვალა, ამიტომ სამ ადამიანს მანქანით დავეჯახე. მე მათი მოკვლა არ მინდოდა, უბრალოდ, მსურდა, მსუბუქად დამეშავებინა, – აღიარა ახალგაზრდამ.

პოლიციელებმა ალდინგერის სისხლში ვერც ალკოჰოლისა და ვერც ნარკოტიკების კვალი ვერ აღმოაჩინეს. ასევე მას არ აქვს ფსიქიკური დაავადებები. თუმცა მან აღიარა, რომ ინციდენტის მომენტისთვის უძილობის გამო სამი დღე არ დაუძინია.

პოლიციელების თქმით, ალდინგერს ციხეში მოხვედრა სურს. მან მის მიერვე დაშავებულების მიმართ თანაგრძნობა გამოხატა და მომხდარს „ცხოვრებისეული გამოცდილება“ უწოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ინდოელ ექიმს პაციენტები აერია



ინდოეთში დელის სახელმწიფო საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა შეცდომით ფეხზე ოპერაცია გაუკეთა ადამიანს, რომელსაც თავის ტრავმა აწუხებდა.

ექიმს ავადმყოფები აერია და ინდოელს, რომელსაც ავარიის შედეგად თავი და სახე დაუზიანდა, ფეხი გაუხვრიტა შტიფტის ჩასადგმელად. საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა აჯაი ბახლმა აღნიშნა, რომ პროცედურა ნარკოზის ქვეშ მიმდინარეობდა, ამიტომ ავადმყოფს არ გაუგია, თუ რას უკეთებდნენ და ამაში ხელს ვერ შეუშლიდა.

როგორც კი საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ მომხდარის შესახებ შეიტყო, ავადმყოფს განმეორებით გაუკეთეს ოპერაცია შტიფტის ამოსაღებად, ხოლო ექიმს, რომელმაც ასეთი შეცდომა დაუშვა, ოპერაციების გაკეთება მხოლოდ საავადმყოფოს ხელმძღვანელების თანდასწრებით შეეძლება.

# ასტროპროგნოზი

## 27 აპრილისთვის



**ვერძი** – კრიტიკული დღეა. ნერვულ სისტემას გაუფრთხილდით. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **კურო** – პარტნიორული ურთიერთობები იღბლიანად წარიმართება. პატივმოყვარეობა დაიოკეთ. **ტყუპები** – ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. განმარტოება და ფიქრი საღამოს რეკომენდებულია. **კირჩხიბი** – დროა, ფასეულობები გადააფასოთ. იყავით კონცენტრირებული სულიერ ცვლილებებზე. **ლომი** – ზომიერად გარისკეთ. პირველ რიგში ჯანმრთელობას მიხედეთ. სიყვარულში კრახი გელით. **ქალწული** – გუნებაგანწყობა პერიოდულად გეცვლებათ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. **სასწორი** – არ იძუნწოთ. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრიანკალი** – შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. შინაგან ხმას მოუსმინეთ. კეთილისმყოფელი დღეა ახალი ნაცნობობისათვის. **მშვილდოსანი** – იოლად ნურავის მიენდობით. ეს უმეტესწილად ახალგაცნობილ ადამიანებს ეხებათ. **თხის რქა** – პირად ინტერესებს დიდ ყურადღებას ნუ დაუთმობთ. უმჯობესია, თუ ახლობლების ჯანმრთელობაზე იზრუნებთ. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლისათვის შეუფერებელი დღეა. ეცადეთ, ფული მინიმალურად ხარჯოთ. **თევზები** – წარმატების მისაღწევად მთელი შინაგანი ძალების მობილიზება დაგჭირდებათ. იოლი გზით სიარული დღეს არ გამოგადგებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 2. იაპონური ავტომობილი; 3. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 4. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ობობისნაირი შხამიანი ცხოველი; 9. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 11. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ნახატის, არქიტექტურული პროექტის წინასწარი მონახაზი; 17. მოხატული და მოჭიქული თიხის ჭურჭელი; 19. ზღვის ცხოველების გაქვავებული ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო ნივთიერება; 21. ეთერზეთებით მდიდარი ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი ზეთი; 22. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი.

**თარაზულად**: 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 8. გამოქვაბული ანუ...; 10. მოლაპარაკე ფრინველი; 12. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 13. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 14. კურკოვანი ნაყოფის მქონე ზეთით მდიდარი მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე; 18. იორდანიის დედაქალაქი; 20. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 23. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 24. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 25. აეროპორტი პრაღაში; 26. გემის უკანა ნაწილი; 27. კუთხე საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩანადირი; 2. ბარტერი; 3. ბიეფი; 4. ბაირამი; 5. დუბლინი; 10. ჰამბურგი; 11. რეპორტიორი; 12. ევტერპე; 15. დრომადერი; 16. აგუერო; 17. რაზდანი; 20. სამბო.

**თარაზულად:** 6. ჟანდარმერია; 7. ფაიფური; 8. კრიკინა; 9. დინარი; 13. რიწა; 14. თელავი; 18. სერვოლანი; 19. კამიუ; 21. იანძი; 22. შოპენი; 23. პილიგრიმი; 24. „სხიპჰოლი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბეჟარი; 2. პიუზო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. კანიონი; 9. ბანკო; 11. ბალასტი; 15. ნაფტალანი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 19. ინდოეთი; 21. საყდარი; 22. კაჭიჭი.

**თარაზულად:** 5. გენლაინი; 7. ატაკამა; 8. ოპტიკა; 10. კანტონი; 12. ჭიუხი; 13. ოტავა; 14. ატკინსონი; 18. ასაჰი; 20. ფესახი; 23. ბაჩანა; 24. ყუმი; 25. ყულევი; 26. ჭონა; 27. ბროკერი.

# ანრი ჯოხაძემ ლეილა აბაშიძეს ვიდეორგოლი მიუძღვნა



მომღერალმა ანრი ხოჯაძემ ქართული კინოს ლეგენდა ლეილა აბაშიძეს ვიდეორგოლი მიუძღვნა და თავისი ინტერპრეტაციით სიმღერა „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“ შეასრულა.

ანრიმ კლიპში ლეილა აბაშიძის ის კადრები გამოიყენა, რომლებიც ვერიკო ტურაშვილისთვის გადაღებულ ვიდეორგოლში სიმღერაზე „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“ არ მოხვდა.

ვიდეორგოლისა და ანრისეული სიმღერის პრემიერა „პრაიმ შოუში“ გაიმართა. როგორც მომღერალმა განაცხადა, სიმღერა კინოფილმიდან „შეხვედრა მთაში“ მან ლეილა აბაშიძის ხსოვნისთვის მომზადებული ვიდეორგოლისთვის სპეციალურად შეარჩია.

**ანრი ჯოხაძე:**

– ასე გამოვეთხოვე ჩემს ლეილას, ქართული კინოს ლეგენდას.

# ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ ინტერნეტში ინფორმაცია შესაცვლელია



ამ განცხადებას კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის „სალხინოს სასახლის კამერატა“ ინიციატორი და დირიჟორი შიო აბრახამია აკეთებს და მიზეზსაც განმარტავს:

– ვიდრე მთავარ, მუსიკოსებისთვის, უმთავრესად ფოლკლორისტებისთვის ან ხალხური სიმღერის შემსრულებლებისთვის საგანგაშო სათქმელს ვიტყოდე, მცირე შესავალი:

მოლაპარაკება მაქვს ბუდაპეშტის კამერულ ორკესტრთან, მის ხელმძღვანელთან. ეს მუსიკოსი მწერს, რომ, მისდა სამარცხვინოდ, ჯეროვნად არ იცნობს საქართველოს, ქართულ კულტურას, ქართულ მუსიკას, თუმცა კარგად იცის ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ისტორია და მუს. კულტურა, სცოდნია, რომ რეგიონში პირველი ქრისტიანები არიან, რომ არაჩვეულებრივი კომპოზიტორები ჰყავთ, ამ საკითხში ვერ შეედავები ნამდვილად და არ იცის აქვე მისი მეზობელი ქვეყნის ეს ისტორია და სურს, ვიკიპედიაში მოიძიოს ჩვენზე ყველაფერი, ვიდრე მე მას რამეს დავულინკავ.

ჰოდა ამასობაში გადავწყვიტე, რომ თავად მომეძებნა ვიკიპედიაში რამე ინგლისურად ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ, ბუნებრივია, ინგლისურ ენაზე.

მე და ინგლისური ისე ვერ ვმეგობრობთ, როგორც თუნდაც მე და გერმანული, თუმცა ის წინადადება ნამდვილად გავიგე, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფოლკლორის დღევანდელ შემსრულებლებად გვევლინებიან დავით კენჭიაშვილი და თეონა ქუმსიაშვილი. ღმერთმა აცხონოს ეს ქალბატონი, რა თქმა უნდა, არაფერს ვერჩოდი არც სიცოცხლეში და მით უფრო ახლა, განსვენებულს.

თუ რომელიმე მუსიკოსი ამას კითხულობთ, კომენტარების გარეშე თავად გექნებათ რეაქცია იმაზე, რომ ფოლკლორის შემსრულებლად ეს სახელები წერია და არა, მაგალითად... სია უდიდესია.

მირჩიეთ, რომელი ობიექტური და ჩვენი მუსიკის ისტორიის რეალობის ამსახველი ინგლისურენოვანი სტატია გავუგზავნო დაინტერესებულ უნგრელ მუსიკოსებს?!

პ.ს. არაფერს ვერჩი ამ მომღერლებს, თუმცა, უნგრელებმა რომ ეს სახელები ცალკე დაგუგლონ ან იუთუბში გადაწყვიტონ რამე ქართულის მოსმენა მათი შესრულებით, იცით, რომ ისინი ფოლკლორულ მუსიკას ვერ მოისმენენ და, როგორც ტრიო „მანდილმა“ შექმნა ახალ თაობაში ქართულ ფოლკლორზე გარკვეული წარმოდგენა, იგივე არ მსურს ამ მაგალითზეც.

პ.პ.ს. იქნებ ეს ვიკიპედიური, ყველასთვის ხელმისაწვდომი ისტორიებიც გაკონტროლდეს ავთენტიკაზე ძიძგილაობის პარალელურად.

# რეზო ბლიაძე მამა გახდა



მომღერალი და მუსიკოსი რეზო ბლიაძე და ჯგუფის „რეზო და ბავშვები“ ვოკალისტი მამა გახდა.

მისმა მეუღლე ნინია ჯაოშვილმა პატარა ჩაჩავას კლინიკაში გააჩინა. დედაშვილი თავს კარგად გრძნობს.

ეს სასიხარულო ინფორმაცია რეზო ბლიაძემ თავად გაავრცელა:

– მამამშვიდობისა. 3.650 კგ. 53 სმ. სანდრო ბლიაძე. 2018. 26 აპრილი.

რეზომ და ნინიამ უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილი მიიღეს. ეს წყვილის მეორე შვილია. მათ პირველი შვილიც ბიჭი ჰყავთ.

# წელს „საჩუქარი“ არსებობას თუმანიშვილის თეატრის მიღმა იწყებს




მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე აცხადებს, რომ ფესტივალი 20 წლის განმავლობაში ჰაერში ეკიდა:

– ვეღირსეთ! მიხეილ თუმანიშვილის მეგობრის, პიტერ ბრუკის დაბადების დღეს ოფიციალურად დაფუძნდა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“! 20 წელი ჰაერში ვეკიდეთ, ასე ვთქვათ და ყველას რაღაცას ვუმტკიცებდით!

ახლა კი ვაცხადებ, რომ, ჯაზფესტივალთან ერთად, 1997 წელს ეს იყო ერთადერთი, მასშტაბური, მსოფლიო დონის ფესტივალი ჩვენს რეგიონში, დაფუძნებული საერთაშორისო დირექტორატის მიერ!

გილოცავთ მის გულშემატკივრებს და ასეთი უამრავია!

ყველანი მიყვარხართ!

ბევრი რამ შევწირე ამ ფესტივალს, მაგრამ ალბათ ღირდა!!!!

ასეა ეს!

პ.ს.

წელს „საჩუქარი“ არსებობას იწყებს თუმანიშვილის თეატრის მიღმა! ეს უნდა ითქვას, რადგან ღალატი საპატიებელი არ არის!

მიყვარს ის უმრავლესობა თეატრში, ჩემი კოლეგები, ვინც ჩემი განდევნის წინააღმდეგი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლმა, შური, უსინდისობა ხანდახან ძალადობს! და პროტესტის გამოთქმა თუნდაც ერთი დღით ძალადობაზე ყველას არ შეუძლია!

იმედია, ოდესმე ეს ბოროტებაც დამარცხდება, რადგან „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“... ეს ყველას უნდა ახსოვდეს, ყველას, ვინც დაგეგმა, შეასრულა, შავი მაქმანივით მოქსოვა ეს ვანდალური აქტი...

ყველაზე ახლობლებმა ჩამარტყეს დანა ზურგში!

ამას არასდროს დავივიწყებ, ვერ დავივიწყებ, რადგან ყოველღამე რეპეტიცია და თეატრი მესიზმრება.

ეს არც სენტიმენტია და არც მისგვარი რამე!

ეს რეალობაა!

მიტევების დღეს ერთ-ერთმა მოღალატემ მომწერა:

„თუ შენ თვლი, რომ რამეში დამნაშავე ვარ, მაშინ, შემინდე!“

რა ფარისევლობაა! თუ შენ თავს დამნაშავედ არ თვლი, მე როგორ ან რატომ უნდა შეგინდო!

ღმერთმა შეუნდოს ყველას....

როცა ჩემს სპექტაკლებს თამაშობენ, რაღაც მაინც ხომ ახსენდებათ!

ერთგულების დარღვევა ყველაზე დიდი ცოდვაა, რადგან ამას ბევრი ცუდი რამ მოჰყვება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჩინელმა გლეხებმა მიწის თხრის დროს 400 კილოგრამი ძველი მონეტები იპოვეს



ჩინელმა გლეხებმა იპოვეს განძი, რომლის წონამ 400 კილოგრამი შეადგინა. ისინი მიწას სამკურნალო მცენარის ფესვების მოსაპოვებლად თხრიდნენ.

აღნიშნული შემთხვევა ჩინეთის ჰებეის პროვინციის სოფელ დუნსიუეტუნში მოხდა. მონეტები უზარმაზარ თიხის ქოთანში ეწყო. სპეციალისტების თქმით, მათი დიდი ნაწილი სუნის დინასტიის ეპოქით თარიღდება, რომელიც ქვეყანას X-დან XIII საუკუნის ჩათვლით მართავდა. თუმცა მათ შორის ასევე აღმოჩნდა უფრო ადრინდელი ხანის დინასტიის დროინდელი მონეტებიც, რომელიც ჩინეთს III საუკუნეში მართავდა. სულ არქეოლოგებმა 20 სახეობის მონეტა დათვალეს, რომლებმაც ჩვენს დრომდე შესანიშნავ მდგომარეობაში მოაღწია.

თავად ქოთანი, წინასწარი კვლევის თანახმად, იუანის ეპოქის დასასრულს ჩაფლეს მიწაში, დაახლოებით XIV საუკუნის შუა წლებში, როდესაც ჩინეთს მონღოლური დინასტია მართავდა.

# ამერიკელმა გოგონამ ირლანდიელს უკანალზე ჩქმეტა არ შეარჩინა



ამერიკელმა პაუერლიფტერმა ლიანა კარმა განაცხადა, რომ მას ირლანდიელმა მამაკაცმა გასაქანი არ მისცა.

სპორტსმენი გოგონა კოლორადოს შტატიდან დუბლინის ქუჩებში სეირნობდა, როდესაც მას უცნობმა მამაკაცმა დუნდულზე უჩქმიტა. გაოგნებული გოგონა შეურაცხმყოფელისკენ შეტრიალდა, მან კი სახეში შესცინა და უთხრა:

– შენ ხომ ამერიკელი ხარ. ალბათ მოგეწონა.

ამის პასუხად კარმა მას სახეში მუშტი უთავაზა და მიაძახა:

– ასე გოგონებს აღარასოდეს შეეხო, ამისთვის შემიძლია, ციხეში ამოგაყოფინო თავი. უცნობი მამაკაცი გაცოფდა და უნდოდა, გოგონასთვის დაერტყა, მაგრამ საქმეში პენსიონერების წყვილი ჩაერია, რამაც აგრესორი მამაკაცი შეაშინა.

ამის შემდეგ გოგონამ საკუთარი ფოტოსურათი ტვიტერში განათავსა და აღნიშნა, რომ ცხოვრებაში პირველად დაარტყა ადამიანს და ამის გამო სირცხვილის გრძნობა ტანჯავს. ასევე კარმა აღიარა, რომ ალბათ იმავეს გასაკეთებლად სიმამაცე არ ეყოფოდა, ეს ყოველივე რომ ღამის საათებში უკაცრიელ ადგილას მომხდარიყო.

# მსოფლიოში პენისის პირველი სრული გადანერგვა განხორციელდა

აშშ-ში მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორის ჯონს ჰოპკინსის საავადმყოფოში პირველად წარმატებით განხორციელდა პენისის საკვერცხეებთან ერთად გადანერგვის ოპერაცია.

ოპერაცია 14 საათს გრძელდებოდა. მას ორი ქირურგიუროლოგი და ცხრა პლასტიკური ქირურგი ატარებდა. პენისი, საკვერცხეები და მის ირგვლივ ქსოვილების ნაწილი გარდაცვლილი დონორისგან იქნა აღებული. პაციენტმა ანონიმად დარჩენა ისურვა, თუმცა ცნობილია, რომ მან ფეხები და სასქესო ორგანოები ავღანეთში თვითნაკეთ ბომბზე აფეთქების შედეგად დაკარგა.

– ამის გამო ქალთან ურთიერთობას ვერ ვახერხებდი. დიდი ხნის განმავლობაში თავს



მარტოხელა ადამიანად ვგრძნობდი და მამაკაცად ველარ აღვიქვამდი, – განაცხადა მან.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თუმცა პაციენტი კვლავაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მათ იმედი აქვთ, რომ რამდენიმე თვეში ვეტერანი ჯარისკაცი ადრინდელივით მამაკაცურად შეძლებს მოშარდვას, ხოლო მოგვიანებით სექსუალურ ფუნქციასაც აღიდგენს, თუმცა საკუთარი ბავშვები არ ეყოლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სიჩქარის გადაჭარბებისთვის იხვით პოლიცია დაინტერესდა



შვეიცარიის ბერნის კანტონის დასახლებულ პუნქტ ობერვანგენში ავტომატურმა საგზაო სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა იხვი, რომელიც გზის ზედაპირის სიახლოვეს ნებადართული სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდა.

მოწყობილობის ხედვის არეში მოხვდა ფრინველი, რომელიც საათში 52 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა, მაშინ როდესაც გზის ამ მონაკვეთზე მოძრაობის სიჩქარე შეზღუდულია და ის საათში 30 კილომეტრს არ უნდა აღემატებოდეს. ჩვეულებრივ, ამ კამერიდან მიღებული ფოტოსურათები დამრღვევის დასაჯარიმებლად გამოიყურება, ხოლო თუ სიჩქარე დასაშვებ ზღვარს საათში 5 კილომეტრით აღემატება, პოლიცია ავტომატურ რეჟიმში იღებს შეტყობინებას.

პოლიციელებმა ფოტოსურათის მიღების შემდეგ კურიოზული შემთხვევის თაობაზე ინფორმაცია სოციალურ ქსელ ფეისბუქში განათავსეს.

– სად უნდა გავგზავნოთ ჯარიმის ქვითარი სიჩქარის გადაჭარბებით ფრენისთვის, გაუგებარია, – ხუმრობით დაწერეს პოლიციელებმა კომენტარში.

– ეს ავიაციის ფედერალური სამმართველოს საქმიანობის სფეროა, – დაწერა პასუხად ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 აპრილისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4787

ევრო — 3.0243

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4568

100 რუსული რუბლი — 4.0102

**ამინდის პროგნოზი 27 აპრილისთვის**




## კრისტოფერ კოპოლა ქართულ სამზარეულოზე ფილმს გადაიღებს



ჰოლივუდის ცნობილი რეჟისორი კრისტოფერ კოპოლა ქართულ სამზარეულოზე ფილმს გადაიღებს. რეჟისორი ჩვენს ქვეყანას კარგად იცნობს და, მის სილამაზესთან ერთად, სამზარეულოთიც მოხიბლულია.

კოპოლა საქართველოში რამდენიმე წლის წინ საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა და ახლა უკვე ჩვენს სამშობლოზე დოკუმენტური ფილმის გადაღება სურს.

რეჟისორი დოკუმენტური ფილმის გადაღებებს საქართველოში ივნისში დაიწყებს. მისი ერთ-ერთი მასპინძელი და ფილმის მონაწილე ნათია მონტგომერი იქნება.

სულ მალე ქართული კულინარია ჰოლივუდის სივრცეს დაიპყრობს.

## ზურა შარიას ექიმების დახმარება დასჭირდა



რუსთაველის თეატრის მსახიობ ზურა შარიას ექიმების დახმარება დასჭირდა. როგორც ცნობილია, ხელოვანს სახმო იოგებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, ამიტომ მას ოპერაცია რამდენჯერმე გაუკეთეს.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ზურა შარიამ ისევ მიაკითხა მედიკოსებს და ხმის იოგებზე მორიგი ოპერაცია გაიკეთა. ამჟამად მსახიობი თავს კარგად გრძნობს, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლაპარაკი აკრძალული აქვს.

ოპერაციის შემდეგ ეტაპს ზურა შარია ვაკის პარკში სეირნობითა და ჰამაკში ქანაობით ატარებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## დანი კარვახალი 3 კვირას გამოტოვებს

მადრიდის რეალის მცველმა დანი კარვახალმა ბაიერნთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ეს ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა.

კარვახალი, სავარაუდოდ, 3 კვირას გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავის გუნდს ბაიერნთან განმეორებით შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

კარვახალი რეალის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია და მისი არყოფნა მადრიდელებისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება, ამიტომ ზიდანს მოუწევს იმაზე ფიქრი, თუ ვინ დაიკავებს კარვახალის ადგილს განმეორებით შეხვედრაში.

კარვახალი რეალის ღირსებას 2014 წლიდან იცავს.



## სტივენ ჯერარდი, შესაძლოა, რეინჯერსის მწვრთნელი გახდეს



ლივერპულის ლეგენდა, სტივენ ჯერარდი, შესაძლოა, შოტლანდიური გლაზგო რეინჯერსის მწვრთნელი გახდეს.

ჯერარდმა საფეხბურთო კარიერა ერთი წლის წინ დაასრულა და მას შემდეგ ის ლივერპულის ახალგაზრდულ გუნდში მუშაობს. ინგლისურ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯერარდი რომელიმე გუნდის მთავარ მწვრთნელობას აპირებს და ეს გუნდი, სავარაუდოდ, რეინჯერსი იქნება.

თვითონ ჯერარდს ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



ფსიქოანალიტიკოსთან მამაკაცი მივიდა მიღებაზე, ტახტზე დაწვა და ხმას არ იღებს. ექიმი მოთმინებით ელოდება. ერთი საათის შემდეგ მამაკაცი წამოდგა, ხმის ამოუღებლად მაგიდაზე 20 ლარი დაუდო, დაემშვიდობა და წავიდა. მეორე დღეს სურათი განმეორდა.

ერთი კვირის შემდეგ ექიმმა ველარ მოითმინა და ეკითხება:

– იქნებ მომიყვეთ, რა გაწუხებთ?

– ცოლი, ექიმო. ერთი წუთითაც კი არ ჩუმდება. აქ თქვენთან კი ისეთი სიმშვიდე, სიჩუმეა...

•••

სუპერმარკეტში მამაკაცი ახალგაზრდა მომხიბვლელ გამყიდველ გოგონასთან მივა და ეუბნება:

– იცით, ცოლი დავკარგე...

– მერე, მე რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

– რამდენიმე წუთი მელაპარაკეთ და თვითონვე მომაგნებს.

•••

რეპორტიორი კინოვარსკვლავს ეკითხება:

– სად გაიცანით თქვენი მეექვსე ქმარი?

– ნადირობის დროს, როდესაც მან ჩემი მეხუთე ქმარი მოკლა.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხდება, რომ ყველაფერს ასწრებთ და ყველაფრის მიმართ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?

– უბრალოდ, არავის ვეკამათები.

– კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია.

– შეუძლებელია და იყოს შეუძლებელი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ადრე ვფიქრობდი, რომ ყველაზე დიდი საშინელება გაკვეთილების სწავლა იყო.

– და ახლა?

– ახლა მივხვდი, რომ უფრო დიდი საშინელება გაკვეთილების შვილთან ერთად მომზადებაა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*









## თომას მიულერი: „ჯერ არაფერი დასრულებულა“


© Bongarts/Getty Images

მიუნხენის ბაიერნის ფორვარდმა თომას მიულერმა რეალთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ჯერ არაფერი დასრულებულა და მადრიდში ბაიერნი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

– ძალიან სამწუხაროა, რომ წავაგეთ, რადგან ამას არ ვიმსახურებდით. იღბალი დღეს ჩვენ მხარეს არ იყო. წინ კიდევ 90 წუთია და ბოლომდე ვიბრძოლებთ. მჯერა, რომ ფინალში გასვლა შეგვიძლია, – განაცხადა თომას მიულერმა.

ბაიერნმა რეალთან საკუთარ მოედანზე 1:2 წააგო და გერმანული კლუბი ძალიან რთულ მდგომარეობაშია.

განმეორებითი შეხვედრა 1 მაისს გაიმართება.

## სერხიო რამოსი: „რთული თამაში მოვიგეთ“



მადრიდის რეალის კაპიტანმა სერხიო რამოსმა განაცხადა, რომ ბაიერნის წინააღმდეგ მის გუნდს გაუჭირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალმა კარგ შედეგს მიაღწია.

რამოსის თქმით, განმეორებითი შეხვედრა ასევე რთული იქნება:

– ნამდვილად გაგვიჭირდა, რადგან ბაიერნი ძლიერი გუნდია, მაგრამ საბოლოოდ გავიმარჯვეთ და ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. ჯერ ფინალში არ გავსულვართ, რადგან განმეორებითი შეხვედრა წინ არის, სადაც ყურადღებით უნდა ვიყოთ.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 2. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ფარისეველი, ფლიდი ადამიანი; 4. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 5. პაბლო პიკასოს ცნობილი ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი სარკინიგზო თვითმცლელი ნახევარვაგონი; 11. მყარი ნივთიერების აირისებრ მდგომარეობაში გადასვლის პროცესი; 12. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის არჩევის უფლების მქონე პირი; 15. ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ფრინველთა პერიოდული გადაფრენის მოვლენებს სწავლობს; 16. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 17. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 20. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი.

**თარაზულად**: 6. ტრაგედია „ფაუსტის“ პერსონაჟი; 7. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 8. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 13. მკაცრი აკრძალვა; 14. ყინულითა და პიტნით შეზავებული ვისკი ან რომი; 18. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 19. ქართველი კინორეჟისორი; 21. სამკითხაო ქვიშა; 22. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 23. შავი ფერის ალმასი; 24. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

